საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში (G-PAC)

2014 წლის ანგარიში სამოქალაქო ჩართულობის შესახებ

შინაარსი

რეზიუმე 3

I. შესავალი 10

II. სამოქალაქო ჩართულობის ამჟამინდელი დონე საქართველოში 12

ფორმალური სამოქალაქო ჩართულობა 12

არაფორმალური სოციალურად ორიენტირებული ქცევა, ალტრუიზმი და სოციალური ნდობა 14

არასამთავრობო ორგანიზიციების საქმიანობაში ჩართულობის სურვილი 16

III. ცოდნა არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ 18

არასამთავრობო ორგანიზაციების და მათი ხელმძღვანელების ცნობადობა 19

არასამთავრობო ორგანიზაციების არსის გაგება 20

IV. არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულება 21

ნდობა არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი 22

დამოკიდებულება არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტებისა და აქტიური მოქალაქეების მიმართ 23

საკითხების შეუსაბამობა 24

V. სოციალური დინამიკა და თემის ორგანიზება 27

ოჯახის დინამიკა 27

ღიაობა ახალი ადამიანების გაცნობის მიმართ 29

თემის ორგანიზება 29

პოლიტიკური დიალოგი 31

VI. მოსახლეობის დამოკიდებულება დემოკრატიისადმი და საბჭოთა იდეოლოგიური მემკვიდრეობა 32

პოლიტიკური მონაწილეობა და დემოკრატიისადმი დამოკიდებულება 32

პოლიტიკური ეფექტურობის შეგრძნება 34

ძნელად დასაძლევი საბჭოთა იდეოლოგიური მემკვიდრეობა 37

VII. დასკვნა 37

დანართი 1 - კვლევის მეთოდოლოგია 40

რეზიუმე

2011 წელს ა.შ.შ.-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ განხორციელებული ოთხწლიანი პროგრამის, G-PAC-ის საწყის ეტაპზე, საქართველოში პირველად ჩატარდა ზრდასრული მოსახლეობის წარმომადგენლობითი გამოკითხვა სამოქალაქო ჩართულობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. G-PAC-ის პროგრამა მიზნად ისახავდა საქართველოში მოქმედი ანალიტიკური ცენტრების (think tanks) და ინტერესების დამცველი ორგანიზაციების დახმარებას გრანტებისა და ტექნიკური მხარდაჭერის მეშვეობით. 2014 წელს, G-PAC-ის პროგრამის დასასრულს, კიდევ ერთხელ ჩატარდა საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვა იმის დასადგენად, თუ როგორ შეიცვალა მოსახლეობის სამოქალაქო ჩართულობა ბოლო სამი წლის განმავლობაში.

როგორც 2011 წელს, ისე 2014-ში G-PAC-ის გამოკითხვა მოიცავდა დეტალურ კითხვებს საქართველოს მოსახლეობის სამოქალაქო ჩართულობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულების და ამ ორგანიზაციების ღონისძიებებში მონაწილეობის სურვილის, ფორმალურ ორგანიზაციებში წევრობისა და პოლიტიკური ღირებულებების შესახებ. რესპონდენტებმა უპასუხეს სავსებით მოსალოდნელ კითხვებს არასამთავრობო ორგანიზაციების ფორმალური სექტორის შესახებ; ამასთან, გამოკითხვის ფარგლებში შესწავლილი იქნა ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ან, პირიქით, მოულოდნელი შესაძებელობები შემატოს, ფორმალურ სამოქალაქო ჩართულობას - საზოგადოებრივი განწყობები, ალტრუისტური ქცევა, ურთიერთობა ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და მეზობლებს შორის. 2014 წლის გამოკითხვა 23 აპრილიდან 6 მაისამდე ჩატარდა პირისპირ ინტერვიუების მეშვეობით; გამოკითხული იქნა 2410 რესპონდენტი. შერჩევა წარმომადგენლობითი იყო საქართველოს ზრდასრული მოსახლეობისთვის, ვინც კარგად ფლობს ქართულ ენას (მეთოდოლოგია აღწერილია **დანართში 1**).

ზოგადად, ამ გამოკითხვების შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს სამოქალაქო სექტორში ბევრი მიმართულებით იქნა მიღწეული მნიშვნელოვანი წინსვლა ძალიან მოკლე დროში. აღსანიშნავია არა მხოლოდ ის, რომ სამი წლის წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით მოსახლეობამ უკეთ იცის, თუ რას წარმოადგენენ და რა საკითხებზე მუშაობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, არამედ ისიც, რომ საგრძნობლად გაიზარდა ხალხის ნდობა არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი და მათი აქტივისტებისადმი. თუმცა მოსახლეობის უშუალო ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ჯერ კიდევ არ გამოირჩევა მაღალი სიხშირით, 2014 წელს ეს ურთიერთობა თითქმის ორჯერ უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე 2011-ში. არასამთავრობო ორგანიზაციებიც, როგორც ჩანს, უფრო აქტიურად ამყარებენ კავშირს საზოგადოებასთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობის სურვილს გამოხატავს, ბევრად აღემატება იმ მცირე სეგმენტს, რომელიც ამჟამად ჩართულია ამ საქმიანობაში. ინტერესი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისადმი განსაკუთრებით მაღალია, თუ ეს ღონისძიებები მოსახლეობისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. ადამიანები, ვინც უკვე მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციების ღონისძიებებში, და ისინი, ვინც მომავალში დაინტერესებულნი იქნებოდნენ ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობით, როგორც წესი, უფრო ახალგაზრდები, უფრო განათლებულები და ინტერნეტის უფრო ხშირად მომხმარებლები არიან. არასამთავრობო ორგანიზაციებმა სწორედ ასეთი

მაჩვენებლების მქონე მოსახლეობასთან უნდა იმუშაონ მომავალი წევრების მოზიდვის მიზნით. მთლიანობაში, როგორც ჩანს, ქართული საზოგადოება მზადაა უფრო მაღალი სამოქალაქო აქტივობისთვის, რაშიც არასამთავრობო ორგანიზაციები თავის როლს ითამაშებენ.

2014 წლის გამოკითხვის მთავარი შედეგებია:

- ქართული საზოგადოება უკეთ ერკვევა არასამთავრობო ორგანიზაციების არსსა და საქმიანობაში და რესპონდენტები უფრო ადვილად და თავდაჯერებულად პასუხობენ კითხვებს არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ. ამ ორგანიზაციების თაობაზე თავისი მოსაზრებების გაზიარებისას, 2014 წელს გამოკითხულთა საგრძნობლად ნაკლებმა რაოდენობამ (33%) უპასუხა „არ ვიცი“, ვიდრე 2011 წელს (45%).

რომელი არასამთავრობო ორგანიზაცია გახსენდებათ პირველ რიგში? *(%)*	
	2014
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)	10
სამართლიანი არჩევნები (ISFED)	1
წითელი ჯვარი	1
ორგანიზაცია „მოქალაქე“	1
საერთაშორისო გამჭვირვალობა	1
სხვა	5
არც ერთი	52
არ ვიცი	29

- 2011 წლის გამოკითხვის შედეგებისგან განსხვავებით, 2014 წელს რესპონდენტებმა ბევრად უკეთ შეძლეს ყველაზე ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციების დასახელება. კერძოდ, გამოკითხულთა 67%-მა სწორად აღნიშნა, რომ საია არასამთავრობო ორგანიზაციაა, გამოკითხულთა 42%-მა კი ასევე სწორი პასუხი გასცა „სამართლიანი არჩევნების“ შესახებ (2011 წელს ასეთი რესპონდენტების წილი იყო, შესაბამისად, 56% და 30%). უფრო ახალგაზრდა და განათლებული რესპონდენტების პასუხები უფრო ხშირად იყო სწორი.

რამდენად სანდოა ადამიანი, რომელიც აქტიურადაა ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში? *(%)*		
	2014	2011
სრულიად სანდოა	10	5
(4)	19	16
(3)	40	30
(2)	9	5
საერთოდ არ არის სანდო	6	7
არ ვიცი	16	36
უარი პასუხზე	0	1

- არასამთავრობო ორგანიზაციე-ბისა და მათი აქტივისტების მიმართ ნდობა კვლავ დაბალია - შესაბამი-სად, 28% და 29%, მაგრამ ეს ნდობა გაიზარდა 2011 წელთან შედარებით, როდესაც ის, შესაბამისად, 18% და 21% იყო. არასამთავრობო ორგანიზა-ციებს და მათ აქტივისტებს უფრო მეტად ენდობიან ახალგაზრდა და განათლებული რესპონდენტები, და ისინი, ვინც რეგიონებში ცხოვრობენ.

- ქართულ საზოგადოებას ახლა უფრო სჯერა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას არა ანგარება, არამედ დადებითი და ალტრუისტული მიზნები ამოძრავებს. კითხვაზე, თუ რა ამოძრავებს არასამთავრობო ორგანიზაციებს საქართველოში უპირველეს ყოვლისა, ყველაზე ხშირი პასუხი იყო „დაეხმარონ საქართველოს მოსახლეობას პრობლემების მოგვარებაში“ – 2014 წელს ასე უპასუხა გამოკითხულთა 41%-მა, მაშინ როდესაც 2011 წელს - მხოლოდ 30%-მა. მხოლოდ 21% ფიქრობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს უპირველეს ყოვლისა დაფინანსების მიღებისა და საკუთარი წევრების დასაქმების სურვილი ამოძრავებს,

რაც სტატისტიკურად თითქმის არ განსხვავდება იმ 19%-სგან, ვინც ასევე უპასუხა ამ კითხვას 2011 წელს.

- არასამთავრობო ორგანიზაციების ღონისძიებებში მონაწილეობის სურვილი საკმაოდ მაღალია, თუმცა ფაქტობრივი მონაწილეობა ძალიან დაბალ დონეზეა. კითხვაზე, გაწევრიანდებოდნენ თუ არა ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც საკუთარი ინიციატივით იმუშავებდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად, 2014 წელს გამოკითხულთა 35%-მა, 2011 წელს კი - 33%-მა დადებითი პასუხი გასცა. თუმცა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (65%) აცხადებს, რომ არ არის დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებში გაწევრიანებით, უზარმაზარი განსხვავებაა საზოგადოების დანარჩენ ორ ჯგუფს შორის - ერთი მხრივ, ვინც ასეთი ორგანიზაციების წევრები არიან, და მეორე მხრივ, ვინც გაწევრიანების ინტერესსა და სურვილს გამოთქვამს. ისინი, ვინც ამჟამად არ არის არასამთავრობო ორგანიზაციების წევრი, მაგრამ დაინტერესებულია გაწევრიანებით, წარმოადგენენ საქართველოს მოსახლეობის იმ რესურსს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ მათი წევრების რაოდენობისა და მათ საქმიანობაში ჩართულობის დონის ასამაღლებლად. ის რესპონდენტები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობებში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ, მეტწილად უფრო ახალგაზრდა და უფრო მეტად განათლებულები არიან და წარმოადგენენ იმ ძირითად დემოგრაფიულ ჯგუფს, რომელზეც უნდა იყოს გამიზნული არასამთავრობო ორგანიზაციების საზოგადოებასთან ურთიერთობის აქტივობები.

რამდენად გაინტერესებთ ან არ გაინტერესებთ, რომ გახდეთ ისეთი გაერთიანების წევრი, რომელიც მუშაობს საქართველოში საკვები პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად?
(%)

	2014
ძალიან მაინტერესებს	27
(4)	16
(3)	18
(2)	8
საერთოდ არ მაინტერესებს	25
არ ვიცი	6

- მოსახლეობის ინტერესი არასამთავრობო ორგანიზაციების კამპანიებისადმი უფრო მაღალია, როცა ეს კამპანიები აქტუალურ საკითხებს ეხება და პრობლემების გადაჭრის კონკრეტულ მექანიზმებს შეიმუშავებს. კითხვაზე, გაწევრიანდებოდნენ თუ არა ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც საკუთარი ინიციატივით იმუშავებდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად, 2014 წელს დადებითი პასუხი მოსახლეობის 35%-მა გასცა, 2011 წელს კი ასეთი დაინტერესება 33%-მა გამოხატა. ამავე დროს, უფრო კონკრეტულ კითხვაზე - იქნებოდნენ თუ არა დაინტერესებული ისეთი ორგანიზაციის წევრობით, რომელიც კვების პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მუშაობს, დადებითი პასუხი მოსახლეობის 43%-მა გასცა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გამოკვეთონ ისეთი საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვნად მიაჩნია მოსახლეობის უფრო ახალგაზრდა და განათლებულ ჯგუფს - მათ, ვინც არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობის ყველაზე დიდ ინტერესს გამოხატავს.

- მაშინ როდესაც საქართველოს მოსახლეობას ყველაზე მეტად აწუხებს ეკონომიკური და ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხები, რესპონდენტთა უმეტესობის აზრით, რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ (31%). ეს რადიკალურად განსხვავდება იმ საკითხებისგან, რომლებიც, რესპონდენტთა აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლე-ობისთვის - სამუშაო ადგილები (30%), მშვიდობა (17%), ჯანდაცვის ხელმისაწ-ვდომობა (15%), სიღარიბე (8%) და ტერიტორიული მთლიანო-ბა (6%). გამოკითხულთა მხო-ლოდ 1% ასახელებს არჩევნებს ამ საკითხებს შორის. სავარა-უდოა, რომ სწორედ ეს შეუ-საბამობა წარმოადგენს ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს, რომელიც არასამთავრობო სექტორში მოსახლეობის ფორმალური ჩართულობის დაბალ დონეს განაპირობებს.

რა საკითხებს უთმობენ საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციები ყველაზე მეტ ყურადღებას? *(%)*	
	2014
არჩევნები	31
ჯანდაცვა ან სოციალური დახმარება	17
მედია და სიტყვის თავისუფლება	15
უმცირესობების უფლებები	15
ფასების ზრდა, სიღარიბე ან უმუშევრობა	15
ოჯახური ძალადობა	13
სასამართლოების მუშაობა	12
განათლება	7
უსაფრთხოება, თავდაცვა ან კონფლიქტები აფხაზეთსა და ოსეთში	6
იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემები	5
რეგიონული განვითარება, მუნიციპალური მომსახურება და ადგილობრივი საკითხები	2
არ ვიცი	22

- არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში ჩართულობის დონე კვლავ დაბალია აბსოლუტური მაჩვენებლების თანახმად, თუმცა ის საგრძნობლად გაიზარდა ბოლო სამი წლის განმავლობაში. 2014 წელს გამოკითხულთა 9%-მა განაცხადა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში დაესწრო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ შეხვედრას, რაც თითქმის ორჯერ აღემატება 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (5%). მეტიც, 2014 წელს რესპონდენტთა 5%-მა განაცხადა, რომ დარეკა ან მივიდა არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში, მაშინ, როდესაც 2011 წელს ეს მხოლოდ 2%-მა გააკეთა. როგორც ჩანს, თავად არასამთავრობო ორგანიზაციებიც უფრო აქტიურად ურთიერთობენ საზოგადოებასთან - 2014 წელს 13% აცხადებს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი მათთან სახლში მივიდა; 2011 წელს გამოკითხულთა მხოლოდ 6%-მა განაცხადა იგივე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებლები ჯერ კიდევ ძალიან მოკრძალებულია და არ მოწმობს მოსახლეობის აქტიურ ჩართვაზე არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში, ისინი ცხადყოფს, რომ ეს ჩართულობა თითქმის გაორმაგდა 2011 წელთან შედარებით. ისინი, ვინც ჩართულია არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობაში, უფრო ახალგაზრდები და განათლებულები არიან და მეტი ალბათობით რეგიონებში ცხოვრობენ.

- ფორმალური სამოქალაქო ჩართულობის დონე, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების წევრობისა და მათთან ურთიერთობის სიხშირე საქართველოში ძალზე დაბალი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ, 2011 წელთან შედარებით, 2014 წლის კითხვარში გამოყენებული იყო ფორმალური წევრობის უფრო ფართო განმარტება, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 2%-მა განაცხადა, რომ რომელიმე ფორმალური გაერთიანების ან კლუბის, მათ შორის ონლაინ გაერთიანების, წევრია.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ... (პასუხი **„დიახ“**, %)		
	2014	2011
მოაწერეთ ხელი კოლექტიურ წერილზე/პეტიციაზე	22	6
მიიღეთ მონაწილეობა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ ტრენინგში/ღონისძიებაში	6	4
დაესწარით არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ შეხვედრას	9	5
დარეკეთ ან მიხვედით არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში	6	2
არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი მოვიდა თქვენს სახლში	13	6

- სამოქალაქო ჩართულობის არაფორმალური, ერთჯერადი ფორმები, მათ შორის ოჯახის წევრების, მეგობრების, მეზობლების და სხვა თანამოქალაქეების დახმარება, რაც უკვე ძალიან გავრცელებული იყო 2011 წლის მონაცემების თანახმად, 2014 წელს კიდევ უფრო გახშირდა. 2014 წელს გამოკითხულთა 74% აცხადებს, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ერთხელ მაინც მისცა ფული მათხოვარს, რაც 2011 წელს 65%-მა თქვა; ასევე 74% აცხადებს, რომ დაეხმარა მეზობელს საოჯახო საქმის კეთებაში ან ბავშვის მოვლაში, რაც 2011 წელს 61%-მა თქვა; 27% კი ამბობს, რომ დაეხმარა სხვა ადამიანებს დავის მოგვარებაში, რაც 2011 წელს 20%-მა განაცხადა. გარდა ამისა, როგორც 2011, ასევე 2014 წლებში მოსახლეობის დიდი ნაწილი აცხადებს, რომ დაეხმარა უცხო ადამიანს ქუჩაში (57%), მონაწილეობა მიიღო საზოგადო ადგილის (სადარბაზოს, სკოლის ან ეკლესიის ეზოს) დასუფთავებაში (29%), გასცა თანხა ქველმოქმედების მიზნით (29%) და დარგო ხე საკუთარი ნაკვეთის ფარგლებს გარეთ (23%). ყველაზე ხშირად ასე იქცევიან უფრო ახალგაზრდა და განათლებული რესპონდენტები.

- პატივისცემის გრძნობა აქტიური მოქალაქეების მიმართ, რომლებიც სამეზობლოში ან თემში არსებული პრობლემების მოგვარებას ცდილობენ, კვლავ მაღალი რჩება. კითხვაზე, თუ რა აზრისა არიან იმ ადამიანებზე, ვინც ფულს აგროვებს სამეზობლოში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, რესპონდენტთა 81%-მა აღნიშნა, რომ დიდ პატივს სცემენ ამ ადამიანებს, რადგან ისინი ენერგიას ხარჯავენ ყველასთვის საჭირო საქმისთვის; მხოლოდ 6%-მა განაცხადა, რომ ეჭვის თვალით უყურებენ ამ ადამიანებს, რადგან ისინი პირად სარგებელს ნახულობენ, როდესაც ფულს აგროვებენ. ეს შედეგები მიუთითებს, რომ ქართველები აფასებენ თანამოქალაქეების ძალისხმევას საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის პროცესში და არ ახასიათებთ უნდობლობა იმ ადამიანების განზრახვებისადმი, რომლებიც საერთო პრობლემების მოგვარებას ცდილობენ.

- 2011 წლის შემდეგ კიდევ უფრო დადებითი გახდა დემოკრატიისადმი დამოკიდებულება და იმის რწმენა, რომ მოქალაქეს შეუძლია გავლენა იქონიოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. 2014 წელს გაიზარდა რესპონდენტთა რიცხვი, ვინც მხარს უჭერს მმართველობის ისეთ სისტემას, როდესაც გადაწყვეტილებების

მიღება მოვლენების საფუძვლიანი გააზრების და საზოგადოებასთან დიალოგის შედეგად ხდება. გამოკითხულთა უმრავლესობა - 66% ეთანხმება მოსაზრებას, რომ „საქართველოს სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში გაძლიერდება, თუ ხელისუფლება ხალხის აზრს გაითვალისწინებს, თუნდაც ამან უფრო დიდი დრო წაიღოს“, და მხოლოდ 16% იზიარებს მოსაზრებას, რომ „სახელმწიფოს გასაძლიერებლად სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო და ახლა საქართველოს ხელისუფლებამ სწრაფად უნდა იმოქმედოს. ხალხისთვის აზრის კითხვამ, შესაძლოა, შეანელოს ეს პროცესი“. 2011 წელთან შედარებით, როდესაც მმართველობის დემოკრატიულ სტილს რესპონდენტთა 56% ემხრობოდა, ეს მნიშვნელოვანი წინსვლაა. დემოკრატიული შეხედულებები ყველაზე მეტად დამახასიათებელია უფრო განათლებულ მოსახლეობისთვის და, ზოგ შემთხვევაში - მამაკაცებისთვის. თუ დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების ტენდენცია შენარჩუნდება, მოსალოდნელი იქნება, რომ პოლიტიკური ცვლილებების განხორციელებით დაინტერესებული ქართველები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში.

- ის ქართველები, ვინც ამჟამად შედარებით აქტიურად არიან ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში, სხვებზე ხშირად ეხმარებიან სხვებს, მეტად არიან დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებში გაწევრიანებით, მეტად ენდობიან არასამთავრობო ორგანიზაციებს, მეტ მზადყოფნას გამოთქვამენ ახალი ადამიანების გაცნობით, დადებითი დამოკიდებულება აქვთ დემოკრატიის მიმართ და სჯერათ, რომ მოქალაქეებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, უფრო ახალგაზრდები და განათლებულები არიან. ისინი ასევე უფრო ხშირად აღნიშნავენ, რომ ინტერნეტის მომხმარებლები არიან. შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციების საზოგადოებასთან ურთიერთობის ღონისძიებები უპირველეს ყოველისა სწორედ ამ ჯგუფზე უნდა იყოს ორიენტირებული.

ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? *(%)*		2014	2011
სახელმწიფოს გასაძლიერებლად სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო და ახლა საქართველოს ხელისუფლებამ სწრაფად უნდა იმოქმედოს. ხალხისთვის აზრის კითხვამ, შესაძლოა, შეანელოს ეს პროცესი.	სრულად ვეთანხმები	3	4
	ვეთანხმები	12	7
საქართველოს სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში გაძლიერდება, თუ ხელისუფლება ხალხის აზრს გაითვალისწინებს, თუნდაც ამან უფრო დიდი დრო წაიღოს.	სრულად ვეთანხმები	38	19
	ვეთანხმები	29	38
არც ერთს არ ვეთანხმები.		3	3
არ ვიცი.		13	27
უარი პასუხზე.		1	3

თუ შევაჯამებთ, G-PAC-ის გამოკითხვის შედეგები მიუთითებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობები გაიზრდება, თუ მათი კამპანიები მიმართული იქნება იმ ადამიანებზე, რომლებიც: 1) უკვე მონაწილეობენ სოციალურად ორიენტირებულ, მაგრამ არაფორმალურ ალტრუისტულ ქცევებში სხვა მოქალაქეების მიმართ, 2) გამოხატავენ ნდობას არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, 3) გამოხატავენ სურვილს, მონაწილეობა მიიღონ არასამთავრობო ორგანიზაციების ისეთ კამპანიებში, რომლებიც აქტუალურ საკითხებს ეხება, 4) დაინტერესებული არიან გაიცნონ ახალი ადამიანები და შეიძინონ ახალი მეგობრები, 5) სულ უფრო მეტად აცნობიერებენ საკუთარ

დემოკრატიულ უფლებებსა და პასუხისმგებლობებს და სწამთ, რომ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, რომ ამ თვისებების მქონე ადამიანები ანალოგიური სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლებით ხასიათდებიან: ისინი უფრო ახალგაზრდები და განათლებულები არიან, უფრო ხშირად სარგებლობენ ინტერნეტით და შეადგენენ მოსახლეობის იმ სეგმენტს, რომელიც უკვე მონაწილეობს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში და მზადაა მომავალშიც მიიღოს მასში მონაწილეობა, თუ მათი ინტერესები არასამთავრობო ორგანიზაციების კამპანიების მიზნებთან შესაბამისობაში იქნება. G-PAC-ის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების ყველაზე დიდ გამოწვევას ის წარმოადგენს, რომ შეუსაბამონ მათ მიერ შერჩეული საკითხები იმ საკითხებს, რომლებსაც ყველაზე აქტუალურად თვლიან ახალგაზრდა და განათლებული ადამიანები, ანუ ისინი, ვინც ყველაზე დიდი ალბათობით მიიღებენ მონაწილეობას მათ კამპანიებში და საქმიანობაში.

I. შესავალი

2011 წლის G-PAC-ის პირველი გამოკითხვის შედეგები საქართველოს მოსახლეობის სამოქალაქო ჩართულობის შესახებ არცთუ იმედისმომცემი იყო და გვიჩვენა მოქალაქეების მინიმალური ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არასამთავრობო ორგანიზაციებში ფორმალური გაწევრიანება ძალზე დაბალი იყო, პოლიტიკური ჩართულობა - სუსტი, ხოლო ის ადამიანები, ვისაც ესმოდა, თუ რა არის და რას აკეთებს არასამთავრობო ორგანიზაციები, ასეთ ორგანიზაციებს უფრო არ ენდობოდნენ, ვიდრე ენდობოდნენ. უფრო იმედისმომცემად გამოიყურებოდა სამოქალაქო ჩართულობის არაფორმალური სახეობები, რადგან ქართველების უმეტესობა რეგულარულად ეხმარება ოჯახის წევრებს, მეგობრებს, მეზობლებსა და თანამოქალაქეებს. 2011 წლის ანგარიშის დასკვის თანახმად, საქართველოში იყო აქტიური სამოქალაქო საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი კომპონენტები, კერძოდ, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის (განსაკუთრებით - ახალგაზრდებისთვის) დამახასიათებელი ალტრუისტული ქცევა, დადებითი დამოკიდებულება დემოკრატიის მიმართ და არასამთავრობო ორგანიზაციების ისეთ კამპანიებში მონაწილეობის სურვილი, რომლებიც აქტუალურ საკითხებს ეხება. ანგარიშის რეკომენდაცია იყო, ფორმალურმა არასამთავრობო სექტორმა გამოიყენოს ეს რესურსები და არაფორმალური სამოქალაქო ჩართულობის უკვე არსებულ, ფართოდ გავრცელებულ ნორმებს ფორმალური სახე მისცეს.

2014 წლის გაზაფხულზე G-PAC-ის გამოკითხვა მეორედ ჩატარდა. 2011 წელს გამოყენებული კითხვარი თითქმის არ შეცვლილა, რესპონდენტებმა კვლავ უპასუხეს დეტალურ კითხვებს საქართველოს მოსახლეობის სამოქალაქო ჩართულობის დონის, არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულების და ამ ორგანიზაციების ღონისძიებებში მონაწილეობის სურვილის, არასამთავრობო ორგანიზაციებში ამჟამინდელი წევრობისა და პოლიტიკური ღირებულებების შესახებ. გარდა ასეთი, სავსებით მოსალოდნელი კითხვებისა, გამოკითხვის მეშვეობით შესწავლილი იქნა საზოგადოებრივი განწყობები, ალტრუისტული ქცევები, რელიგიური ჩართულობა და ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და მეზობლებს შორის არსებული ურთიერთობები, რათა ფორმალური სამოქალაქო ჩართულობისთვის ხელისშემშლელი, ან, პირიქით, მანამდე გაუთვალისწინებელი შესაძლებლობები გამოეკვეთა (მეთოდოლოგია აღწერილია **დანართში** 1).

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია 2014 წლის აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) G-PAC-ის გამოკითხვის შედეგები. ანგარიში იწყება ქართული საზოგადოების ფორმალურ არასამთავრობო სექტორში ჩართულობის უცვლელად დაბალი დონის შეფასებით, რაც შედარებულია არაფორმალური სამოქალაქო ჩართულობის სულ უფრო ფართოდ გავრცელებულ ფორმებთან. ანგარიში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ახალგაზრდა და განათლებული ქართველების ჯგუფი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებში მონაწილეობის ინტერესს გამოხატავს, ბევრად უფრო მრავალრიცხოვანია მოსახლეობის იმ უაღრესად მცირე სეგმენტთან შედარებით, რომელიც ამჟამად არასამთავრობო სექტორის საქმიანობაშია ჩართული. ანგარიშში განხილულია ფაქტორები, რომლებიც, სავარაუდოდ, განაპირობებენ ამ შეუსაბამობას - ერთი მხრივ, არასამთავრობო სექტორში ფორმალური ჩართულობის ძალზე დაბალ დონესა და, მეორე მხრივ, არაფორმალური სამოქალაქო ჩართულობის უაღრესად მაღალ

დონეს და ფორმალური არასამთავრობო ორგანიზაციების ღონისძიებებში მონაწილეობის ინტერესის შედარებით მაღალ დონეს.

ამ შეუსაბამობის მიზეზების ასახსნელად ანგარიშში განხილულია საქართველოს მოსახლეობის ცოდნა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ და რას აკეთებენ არასამთავრობო ორგანიზაციები. მიუხედავად იმისა, რომ ხალხს ჯერ კიდევ არ აქვს ღრმა ცოდნა არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, დღეს მათ ბევრად მეტი იციან, ვიდრე სამი წლის წინ. ამის შემდეგ, ანგარიშში აღწერილია მოსახლეობის წარმოდგენები და შთაბეჭდილებები არასამთავრობო სექტორის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ნდობა და დადებით დამოკიდებულება ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა, ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 2011 წლის შემდეგ. შემდეგ, ანგარიშში განხილულია რესპონდენტების ურთიერთობები ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და მეზობლებთან - მათთან, ვისაც, შესაძლოა, რესპონდენტები უთმობენ იმ დროს, ენერგიასა და მზაობას, რომელიც საჭიროა არასამთავრობო ორგანიზაციის აქტივობებში მონაწილეობისათვის. გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ რესპონდენტების სოციალური კავშირები არ უშლის ხელს მათ სამოქალაქო ჩართულობას, და რომ სავსებით შესაძლებელია მეზობლებს შორის არსებული თემის ორგანიზების მოდელების გამოყენება ფორმალური სამოქალაქო ჩართულობის დონის ასამაღლებლად არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორში.

ანგარიშის დასასრულს განხილულია მოსახლეობის დამოკიდებულება დემოკრატიისადმი და საქართველოს საბჭოთა იდეოლოგიური მემკვიდრეობა, იმის დასადგენად, შესაძლებელია თუ არა, რომ საქართველოს მოქალაქეების აქტიურ ჩართვას ფორმალურ სამოქალაქო სექტორში ხელს უშლიდეს ან ის, რომ ხალხს ჯერ კიდევ არ ესმის, თუ რას წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოება, ან ის, რომ მათ არ სჯერათ, რომ მოქალაქეს შეუძლია გავლენა იქონიოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში გაძლიერდა დემოკრატიის მხარდაჭერა. საქართველოს მოქალაქეებს, როგორც ჩანს, ესმით არა მხოლოდ ის, თუ როგორ ფუნქციონირებს დემოკრატიული სისტემა, არამედ აგრეთვე ის, თუ როგორია მათი პოლიტიკური გავლენა ამ სისტემაზე. ანგარიშის დასკვნაში ხელახლა არის ხაზგასმული, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ მათი ძირითადი რესურსი - ახალგაზრდა, უფრო განათლებული ფენა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობის ინტერესს გამოხატავს. ასევე, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა მაქსიმალური ყურადღება უნდა დაუთმონ „საკითხების შუსაბამობის“ პრობლემის მოგვარებას და იმ საკითხებზე იმუშაონ, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია აღნიშნული სოციალური ფენის წარმომადგენლებისათვის.

II. სამოქალაქო ჩართულობის ამჟამინდელი დონე საქართველოში

G-PAC-ის 2014 წლის გამოკითხვის შედეგები საქართველოს მოსახლეობის სამოქალაქო ჩართულობის უფრო არაერთგვაროვან სურათს წარმოგვიდგენს, ვიდრე ეს 2011 წელს იყო. სამწუხაროდ, სამოქალაქო სექტორში ჩართულობის დონე კვლავ ძალზე დაბალია. ფორმალურ ორგანიზაციებში გაწევრიანებისა და პოლიტიკური აქტივობის მაჩვენებლებიც უაღრესად დაბალი რჩება. ამის მიუხედავად, თუმცა მოქალაქეების ურთიერთობის სიხშირე არასამთავრობო ორგანიზაციებთან კვლავ მცირეა, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2011 წლის შემდეგ. რაც შეეხება დადებით მხარეებს, კიდევ უფრო გაიზარდა მოქალაქეების არაფორმალური სოციალური ჩართულობის დონე, რაც სხვების დახმარებაში და/ან ერთჯერად ალტრუისტულ ქცევებში გამოიხატება და რაც ძალზე მაღალი იყო ჯერ კიდევ სამი წლის წინ. მეტიც, არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობებში მონაწილეობის სურვილი, რომელსაც რესპონდენტები გამოხატავენ, ბევრად მაღალია ამ ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობის ამჟამინდელ მაჩვენებელთან შედარებით, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ არსებობს მოსახლეობის სეგმენტი, რომლის ჩართვაც შესაძლებელი იქნება არასამთავრობო ორგანიზაციების სამომავლო კამპანიებში. აღსანიშნავია, რომ როგორც მოსახლეობის იმ მცირე სეგმენტის წარმომადგენლები, რომლებიც უკვე არიან ფორმალური სამოქალაქო ორგანიზაციების წევრები ან ჩართული არიან მათ საქმიანობაში, ისე იმ შედარებით მრავალრიცხოვანი ფენის წარმომადგენლები, ვინც არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში ჩართვის სურვილს გამოხატავს, ბევრად მაღალი ალბათობით იღებენ მონაწილეობას ერთჯერად ალტრუისტულ ქცევებში. მოსახლეობის ეს ნაწილი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების სამომავლო კამპანიების პოტენციური მონაწილეა, უფრო ახალგაზრდა, უფრო განათლებული და ინტერნეტის უფრო ხშირად მომხმარებელი პირებისგან შედგება.

ფორმალური სამოქალაქო ჩართულობა

ვინაიდან ფორმალური სამოქალაქო ორგანიზაციების წევრების ოდენობა 2011 წელს ძალზე მცირე იყო, G-PAC-ის 2014 წლის გამოკითხვაში ფორმალური წევრობის უფრო ფართო განმარტება იქნა შემოღებული, რათა ასეთ ორგანიზაციებში ჩართული ადამიანების უფრო ფართო სპექტრი შეგვესწავლა. რესპონდენტებს დავუსვით კითხვა, იყვნენ თუ არა ისინი რომელიმე გაერთიანების, კლუბის ან ასოციაციის წევრები, როგორიცაა წიგნების მოყვარულთა კლუბი, მწერალთა ან ხელოვანთა გაერთიანება, თეატრის, ცეკვის ან სპორტის მოყვარულთა გუნდი, ან მსგავსი ინტერესების მქონე ადამიანთა ონლაინ გაერთიანება. მიუხედავად ფორმალური წევრობის ამ ფართო განმარტებისა, რესპონდენტთა მხოლოდ 2%-მა განაცხადა, რომ ასეთი კლუბის ან გაერთიანების წევრია. ეს რაოდენობა სტატისტიკურად მსგავსია მოსახლეობის იმ 0.8% და 1.7%-ისა, რომელიც 2011 წელს აცხადებდა, რომ კულტურული, სპორტული ან პროფესიული გაერთიანების, არასამთავრობო ორგანიზაციის ან პოლიტიკური პარტიის წევრი იყო. მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის 98% არანაირი სამოქალაქო ორგანიზაციის წევრი არ არის, გასაკვირი არ არის, რომ სამოქალაქო ჩართულობის მხრივ არსებული მდგომარეობა საკმაოდ არასახარბიელოა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ქართული პოლიტიკა უკიდურესი აქტიურობით და კონკურენციის მაღალი დონით ხასიათდებოდა, საზოგადოებრივი ჩართულობის დონე 2011 წლის შემდეგ არ შეცვლილა. რესპონდენტთა

13% აცხადებს, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში დაესწრო საჯარო შეხვედრას, 4% ამბობს, რომ წერილი გაგზავნა ან დარეკა გაზეთის, ტელევიზიის ან რადიოს რედაქციაში და მხოლოდ 3% აცხადებს, რომ მონაწილეობა მიიღო პოლიტიკურ დემონსტრაციაში. ერთადერთი დადებითი განსხვავება 2011 წლის შედეგებთან შედარებით ის არის, რომ საგრძნობლად გაიზარდა იმ ადამიანთა წილი, ვინც ბოლო ორი წლის განმავლობაში ხელი მოაწერა კოლექტიურ წერილს ან პეტიციას რაიმე საკითხის მოგვარების მიზნით. მაშინ, როდესაც 2011 წელს რესპონდენტთა მხოლოდ 6% აცხადებდა, რომ ხელი მოაწერა ასეთ წერილს, 2014 წელს მათმა რაოდენობამ 22%-ს მიაღწია. თუმცა, ამ მაჩვენებლის ზრდის მიუხედავად, საზოგადოებრივი ჩართულობის საერთო დონე მაინც ძალზე დაბალი რჩება.

არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში ჩართულობის დონე, რომლის პროცენტული მაჩვენებლებიც კვლავ დაბალი რჩება, ბოლო სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2014 წელს მოსახლეობის 9%-მა განაცხადა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში დაესწრო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ შეხვედრას, რაც 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (5%) თითქმის ორჯერ მეტია. 2014 წელს რესპონდენტთა 6%-მა განაცხადა, რომ დარეკა ან მივიდა არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში, მაშინ, როდესაც 2011 წელს იგივე რესპონდენტთა მხოლოდ 2%-მა გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ზრდა სტატისტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არ არის, მაინც აღვნიშნავთ, რომ 2014 წელს მოსახლეობის 6%-მა თქვა, რომ მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ ტრენინგში, მაშინ, როდესაც 2011 წელს იგივეს რესპონდენტთა 4% აცხადებდა. თავად არასამთავრობო ორგანიზაციებიც, როგორც ჩანს, უფრო აქტიურად ცდილობენ საზოგადოებასთან თანამშრომლობას - მოსახლეობის 13% აცხადებს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მათ სახლში არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ეწვია, მაშინ, როდესაც 2011 წელს მხოლოდ 6% აცხადებდა იგივეს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ თუმცა ეს ციფრები დაბალი ჩანს, ისინი მიუთითებს, რომ მოსახლეობის ჩართულობა არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობაში თითქმის გაორმაგებულია 2011 წლის შემდეგ.



კიდევ ერთი დადებითი ფაქტორია იმ ადამიანთა მახასიათებლები, ვისი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში ჩართვის ალბათობაც ყველაზე მაღალია; განსაკუთრებით აღსანიშნავნია, რომ ეს მახასიათებლები არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებული ყველა კითხვის შემთხვევაში უცვლელი იყო. ადამიანები, ვინც უფრო აქტიურად არიან ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში, მეტწილად ახალგაზრდები არიან, უფრო მაღალი განათლება აქვთ მიღებული, ამბობენ, რომ უფრო ხშირად იყენებენ ინტერნეტს და, რაც ცოტა მოულოდნელია, უფრო შორს ცხოვრობენ დედაქალაქიდან, ანუ უფრო პატარა ქალაქებისა და სოფლების მაცხოვრებლები არიან. ასევე, ისინი სხვებზე ხშირად დახმარებიან სხვებს, მაგალითად, მათხოვრისთვის ფული მიუციათ ან ქუჩაში უცხო ადამიანის დახმარებიან. მოსახლეობის ამ ჯგუფისგან განსხვავებით, რესპონდენტთა ის 22%, რომლებმაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ხელი მოაწერა

კოლექტიურ წერილს ან პეტიციას, მხოლოდ უფრო მაღალი განათლებით გამოირჩევა, ანუ აქ მოსახლეობის განსხვავებულ ჯგუფზეა საუბარი. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის სასარგებლო იქნება იმის გათვალისწინება, რომ საზოგადოების ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე მაღალი ალბათობით გახდება მათი წევრი ან მონაწილეობას მიიღებს მათ საქმიანობაში, შედგება ახალგაზდრა და განათლებული ადამიანებისგან, ვინც ინტერნეტის ხშირი მომხმარებელია და, ხშირ შემთხვევაში, პატარა ქალაქებსა და სოფლებში ცხოვრობენ.

არაფორმალური სოციალურად ორიენტირებული ქცევა, ალტრუიზმი და სოციალური ნდობა



საქართველოში ფორმალური სამოქალაქო ჩართულობის დაბალი დონის პარალელურად, ძალზე მაღალია არაფორმალური დახმარების და სოციალურად ორიენტირებული ალტრუისტული ქცევების სიხშირე, რაც ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. 2011 წლის უკვე მაღალ მაჩვენებლებთან შედარებით, 2014 წელს ასეთი ქცევების სიხშირე კიდევ უფრო გაიზარდა. მოსახლეობის 74% აცხადებს, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ერთხელ მაინც მისცა ფული მათხოვარს, რაც 2011 წელს 65%-მა გააკეთა; 74% ამბობს, რომ დაეხმარა მეზობელს საოჯახო საქმეების კეთებაში ან ბავშვის მოვლაში, რაც 2011 წელს 61%-მა გააკეთა; 27% ამბობს, რომ დაეხმარა ვინმეს დავის მოგვარებაში, რაც 2011 წელს 20%-მა გააკეთა. არ შეცვლილა რესპონდენტთა შთამბეჭდავი წილი, ვინც ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ერთხელ მაინც დაეხმარა უცხო ადამიანს ქუჩაში (57%), მონაწილეობა მიიღო საზოგადო ადგილის დასუფთავებაში (29%), გასცა თანხა ქველმოქმედების მიზნით (29%) და დარგო ხე საკუთარი ნაკვეთის ფარგლებს გარეთ (23%). ის ადამიანები, ვინც უფრო ხშირად ეხმარებიან სხვებს, მეტწილად უფრო ახალგაზრდები და განათლებულები არიან და მათი ოჯახის შემოსავლები უფრო მაღალია. იმ რესპონდენტებს შორის, ვინც ქუჩაში უცხო ადამიანს დახმარებიან და საკუთარი ნაკვეთის ფარგლებს გარეთ ხე დაურგავთ, უფრო მეტი მამაკაცი იყო, ვიდრე ქალი, თუმცა სხვა ამგვარი ქცევების შემთხვევებში გენდერული განსხვავებები არ ფიქსირდება. შესაბამისად, ჩვენ კვლავ და კვლავ ვხედავთ, რომ ფორმალურ სამოქალაქო ორგანიზაციებში ჩართულობის დაბალი მაჩვენებლის მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი საზოგადოების სხვა წევრებს სპონტანურად ეხმარება.

ქმედებებთან ერთად, ქართულ საზოგადოებაში ალტრუიზმისადმი დამოკიდებულებაც კვლავ უაღრესად დადებითია. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ცინიკურად ფიქრობს, რომ როდესაც ადამიანები სხვებს ეხმარებიან, ისინი საპასუხოდ რაიმე სარგებელს მოელიან, მხოლოდ 21%-ს შეადგენს, ხოლო ბევრად მეტი - 40% - ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. ეს ცინიკურად განწყობილი ჯგუფი რაიმე სპეციფიკური მახასიათებლებით არ გამოირჩევიან და მათი წილი თანაბარია ყველა ასაკის, სქესის და სხვა დემოგრაფიულ ჯგუფში. ამავე დროს, იმ რესპონდენტთა წილი, ვინც თვლის, რომ საკუთარი ოჯახის

წევრების გარდა ბევრი ადამიანი არსებობს, ვისაც შეუძლიათ რამეში გამოადგნენ, 55%-დან 64%-მდე გაიზარდა. გამოკითხულთა 89% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ბევრი ადამიანი არსებობს, ვისი იმედიც შეუძლიათ ჰქონდეთ გასაჭირში. როგორც ის ადამიანები, ვინც ფიქრობს, რომ შეუძლიათ სხვებს გამოადგნენ, ისე ისინი, ვინც ფიქრობს, რომ შეუძლიათ სხვების იმედი ჰქონდეთ, მეტწილად უფრო ახალგაზრდები არიან, რომლებიც პატარა ქალაქებში ან სოფლებში ცხოვრობენ და ვისი ოჯახის შემოსავალიც შედარებით მაღალია.

ქართველებისადმი დამახასიათებელი ალტრუიზმის მოულოდნელ კონტრასტს წარმოადგენს სხვა ადამიანებისადმი ნდობის დაბალი დონე. ითვლება, რომ საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნდობის დონე, რომელიც ხშირად სოციალური კაპიტალის შესასწავლად გამოიყენება, საზოგადოების წევრთა შორის თანამშრომლობის დონეზე და საზოგადოების ორგანიზების პოტენციალზე მიუთითებს. მოსახლეობის ის წილი, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველოში სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას ძალიან დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, თითქმის 10%-ით, 66%-დან 74%-მდე გაიზარდა. ამასთან ერთად, სოციალური ნდობის დონე, რომელიც იმ რესპონდენტთა რაოდენობით იზომება, ვინც ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოში ადამიანთა უმეტესობას შეუძლიათ ენდონ, 2011-დან 2014 წლამდე 31%-დან 25%-მდე შემცირდა. შედარებისთვის, ნდობის დონე სხვა ქვეყნებში, რომელიც მსოფლიო ღირებულებათა კვლევის (WVS) იმავე კითხვით იზომება, უფრო დაბალია მეზობელ აზერბაიჯანსა (15%) და სომხეთში (11%) და გაცილებით მაღალია შვედეთსა (60%) და გერმანიაში (45%), ხოლო ა.შ.შ.-ში, საქართველოს შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, არც თუ ისე მაღალია (35%). ადამიანები, ვინც საქართველოში თანამემამულეებს უფრო ენდობიან, მეტწილად უფროსი ასაკის, უფრო განათლებულები და დასაქმებულები არიან.

თუ შევაჯამებთ, 2014 წლის გამოკითხვის შედეგები იმავე შეუსაბამობას აჩვენებს, ერთი მხრივ, ქართულ საზოგადოებაში ფორმალური სამოქალაქო ჩართულობისა და სოციალური ნდობის დაბალ დონესა და, მეორე მხრივ, ფართოდ გავრცელებული არაფორმალური სოციალურად ორიენტირებული ქცევებისა და ალტრუიზმისადმი დადებითი დამოკიდებულების შორის, რომელიც 2011 წელსაც დაფიქსირდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებში ფორმალური ჩართულობა კვლავ დაბალია, ის მნიშვნელოვნად გაიზარდა 2011 წლის შემდეგ, ისევე, როგორც მოსახლეობის ნდობა ამ ორგანიზაციებისადმი. უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ყველაზე აქტიურად არის ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობაში და ენდობა მათ, ისევე როგორც ის ადამიანები, ვინც ყველაზე ხშირად ეხმარება სხვებს, ძირითადად ახალგაზრდებით არის წარმოდგენილი; ეს გარემოება სამომავლო წინსვლის წინაპირობაა.

არასამთავრობო ორგანიზიციების საქმიანობაში ჩართულობის სურვილი



მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა 10%-ზე ნაკლები აღნიშნავს, რომ საკუთარი ინიციატივით მიიღო მონაწილეობა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში, და მხოლოდ 2%-ია რომელიმე ფორმალური ორგანიზაციის წევრი, იმ რესპონდენტთა წილი, ვინც არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობის ინტერესსა და სურვილს გამოხატავს, ბევრად უფრო მაღალია. კითხვაზე, გაწევრიანდებოდნენ თუ არა ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც საკუთარი ინიციატივით იმუშავებდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად, 2014 წელს დადებითი პასუხი გამოკითხულთა 35%-მა გასცა, მაშინ, როდესაც 2011 წელს ასეთი ინტერესი 33%-მა გამოხატა. თუმცა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (65%) აცხადებს, რომ არ არის დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებში გაწევრიანებით, უზარმაზარი განსხვავებაა საზოგადოების დანარჩენ ორ ჯგუფს შორის - ერთი მხრივ, ვინც ასეთი ორგანიზაციების წევრები არიან, და მეორე მხრივ, ვინც გაწევრიანების ინტერესსა და სურვილს გამოთქვამს. ისინი, ვინც ამჟამად არ არის არასამთავრობო ორგანიზაციების წევრი, მაგრამ დაინტერესებულია გაწევრიანებით, წარმოადგენენ საქართველოს მოსახლეობის იმ რესურსს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ მათი წევრების რაოდენობისა და მათ საქმიანობაში ჩართულობის დონის ასამაღლებლად. ეს ადამიანები



უფრო ახალგაზრდები და განათლებულები არიან და უფრო ხშირად სარგებლობენ ინტერნეტით; ისინი დაახლოებით თანაბრად არიან განაწილებული ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებებში, განსხვავებით იმ რესპონდენტებისგან, ვინც აცხადებს, რომ ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები არიან. მოსახლეობის ამ ჯგუფის წარმომადგენლები ბევრად უფრო დიდი ალბათობით დახმარებიან სხვა ადამიანებს ან მიუღიათ მონაწილეობა რომელიმე ალტრუისტულ ქცევაში, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ.



გამოკითხვის შედეგები ასევე მოწმობს, რომ მოსახლეობის ინტერესი არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობისადმი დიდწილად არის განპირობებული თავად არასამთავრობო ორგანიზაციის ტიპით ან კონკრეტული საკითხით, რომელზეც ორგანიზაცია მუშაობს. კითხვაზე, დაინტერესდებოდნენ თუ არა ფილმების მოყვარულთა კლუბის წევრობით, დადებითი პასუხი მხოლოდ რესპონდენტთა 15%-მა გასცა. თუმცა, როდესაც საუბარი ამჟამად აქტუალურ საკითხს, კვების პროდუქტების უსაფრთხოებას შეეხო და რესპონდენტებს ჰკითხეს, დაინტერესდებოდნენ თუ არა ისეთ ორგანიზაციაში გაწევრიანებით, რომელიც საქართველოში კვების პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მუშაობს, ინტერესი მოსახლეობის 43%-მა გამოხატა. 2014 წლის გამოკითხვაში დაისვა ახალი კითხვა: „თქვენი აზრით, რამდენად საჭიროა ან არ არის საჭირო, რომ საქართველოს მოსახლეობა წავიდეს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერ აქციაზე?“. რესპონდენტთა მოულოდნელად მაღალმა რაოდენობამ, 59%-მა დადებითად უპასუხა ამ კითხვას და მხოლოდ 27%-მა თქვა, რომ საჭირო არ არის. რა თქმა უნდა, ეს პასუხები არ ნიშნავს, რომ გამოკითხულთა 59%-მა მართლაც მიიღო მონაწილეობა ასეთ აქციაში - აქაც, სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობის ინტერესი ბევრად აჭარბებს ასეთი მონაწილეობის ფაქტობრივ მაჩვენებლებს. კერძოდ, სხვა კითხვიდან ვიცით, რომ მოსახლეობის მხოლოდ 3%-მა მიიღო მონაწილეობა პოლიტიკურ დემონსტრაციაში ბოლო ექვსი თვის მანძილზე.



არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგნეს ის ხალხი ვინც, ერთი მხრივ, კვების პროდუქტების უსაფრთხოებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციაში გაწევრიანების ინტერესს გამოხატავს (43%) ან უკრაინის მხარდასაჭერი აქციის გამართვის მომხრეა (59%), მაგრამ, ამავე დროს, არ შედის მოსახლეობის იმ 2-10%-ში, ვინც უკვე თანამშრომლობს არასამთავობო ორგანიზაციებთან. ესაა ის ხალხი, ვისი მოზიდვაც შესაძლებელია როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების ახალი წევრების ან მათი ღონისძიებების მონაწილეების. ისინი, ვინც დაინტერესებული არიან როგორც ფილმების მოყვარულთა კლუბის, ისე კვების პროდუქტების უსაფრთხოებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წევრობით, ისევ და ისევ უფრო ახალგაზრდები და განათლებულები არიან და უფრო ხშირად სარგებლობენ ინტერნეტით; ხოლო ისინი, ვინც უკრაინის მხარდასაჭერად აქციის გამართვას ემხრობიან, მეტწილად ქალები და ახალგაზრდა რესპონდენტები არიან, რომლებიც რეგიონებში ცხოვრობენ და რომელთა ოჯახის შემოსავალი შედარებით მაღალია.

ამგვარად, 2011 წლის გამოკითხვის შედეგების მსგავსად, რეალურად ქართველები ძალზე იშვიათად ხდებიან არასამთავრობო სექტორში მომუშავე ფორმალური ორგანიზაციების წევრები, მაგრამ გამოხატავენ ასეთ ორგანიზაციებში გაწევრიანების ინტერესს. ამა თუ იმ ორგანიზაციაში გაწევრიანების ინტერესი განსაკუთრებით მაღალია მაშინ, როდესაც ეს ორგანიზაცია მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხზე მუშაობს. შეუძლებელია იმის თქმა, გადაიზრდება თუ არა გამოკითხვაში დაფიქსირებული ინტერესი არასამთავრობო ორგანიზაციებში გაწევრიანებაში, ან მათ ღონისძიებებში მონაწილეობაში. თუმცა, იმ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომელთაც მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა სურთ, უნდა გაითვალისწინონ, რომ საქართველოში არის ახალგაზრდა და განათლებული მოსახლეობის ფენა, რომელიც ინტერნეტის ხშირი მომხმარებელია და რომელიც, სულ ცოტა, დაინტერესებულია იმ ღონისძებებში მონაწილეობით, რომლებიც მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს ეხება. არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა მონახონ ამ ხალხის უფრო ღრმად დაინტერესების გზები და იმუშაონ საკითხებზე, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია მოსახლეობის ამ ფენისთვის.

III. ცოდნა არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ



ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც შეიძლება განაპირობებდეს შეუსაბამობას, ერთი მხრივ, საქართველოში სამოქალაქო სექტორში ფორმალური ჩართულობის დაბალ დონესა და, მეორე მხრივ, არაფორმალური სამოქალაქო ჩართულობის უაღრესად მაღალ მაჩვენებელსა და არასამთავრობო ორგანიზაციების კამპანიებში მონაწილეობის სურვილის შედარებით მაღალ დონეს შორის, არის ის, რომ მოსახლეობას არ აქვს ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ და რას აკეთებენ არასამთავრობო ორგანიზაციები. 2011 წლის გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის უმეტესობამ არ იცოდა, თუ რას წარმოადგენდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ ეს ადამიანები არ იჩენენ ამ ორგანიზაციების აქტივობებში მონაწილეობის დიდ სურვილს. როგორც 2014 წლის გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის ცოდნა არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ჯერ კიდევ მწირია, ბოლო სამი წლის განმავლობაში ამ მხრივ მნიშვნელოვანი წინსვლა შეიმჩნევა. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების სწორად დასახელება უჭირს, არასამთავრობო ორგანიზაციების ბოლოდროინდელი გახმაურებული კამპანიების შესახებ ბევრად მეტ რესპონდენტს სმენია.

არასამთავრობო ორგანიზაციების და მათი ხელმძღვანელების ცნობადობა



იმის დასადგენად, თუ რატომ არის საქართველოს მოსახლეობის ჩართულობის დონე არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში ასე დაბალი, G-PAC-ის გამოკითხვის მსვლელობაში შესწავლილი იქნა რესპონდენტების ცოდნის დონე არასამთავრობო ორგანიზაციების არსისა და საქმიანობის შესახებ. რამდენად საკმარისი ინფორმაცია აქვს მოსახლეობას არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რათა მონაწილეობა მიიღონ მათ საქმიანობაში? გამოკითხვის შედეგები არაერთგვაროვანია. მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ არსებული ცოდნის დონე საკმაოდ დაბალია, მოსახლეობას საკმაოდ ხშირად ჰქონდა ინფორმაცია ამ ორგანიზაციების ზოგიერთი კამპანიის შესახებ. 2011 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, ქართულმა საზოგადოებამ უკეთ იცის, თუ რას წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ წინ წამოწიონ ის საკითხები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის.

ისევე როგორც 2011 წელს, 2014 წლის კითხვარშიც შედიოდა კითხვები, რომელთა მეშვეობითაც უნდა დაგვედგინა რესპონდენტების ცოდნა არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ. რესპონდენტებს დაუსახელეს სხვადასხვა დაწესებულება და თითოეულთან დაკავშირებით სთხოვეს, ეთქვათ, ეს დაწესებულება არასამთავრობო ორგანიზაცია იყო თუ არა. 2011 წელს ამ დაწესებულებების სიაში შედიოდა ცნობილი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები („საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია), „სამართლიანი არჩევნები“ (ISFED) და „თავისუფლების ინსტიტუტი“) და ექვსი ორგანიზაცია, რომელიც არასამთავრობო არ არის, მათ შორის - ორი საერთაშორისო ორგანიზაცია (ა.შ.შ.-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო)), ორი კერძო კომპანია („ბრითიშ პეტროლიუმი“ (BP) და „ალდაგი“), და ორი პოლიტიკური ორგანიზაცია (საქართველოს პარლამენტი და ლეიბორისტული პარტია), ასევე - ერთი არარსებული ორგანიზაცია („უმუშევარ ხალხთა ასოციაცია“). 2014 წელს ამ სიას კიდევ ხუთი არასამთავრობო ორგანიზაცია დაემატა: „მოქალაქე“ (38%), „იდენტობა“ (30%), „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ (41%), „სოროსის ფონდი“ (43%) და ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ (33%).

2011 წლის შედეგებთან შედარებით, რესპონდენტებმა ბევრად უკეთ მოახერხეს ყველაზე ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციების იდენტიფიცირება, რომლებიც, სავარაუდოდ, ბევრად უფრო ცნობილი გახდა მოსახლეობისთვის ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩატარებულ მრავალრიცხოვან არჩევნებთან დაკავშირებული კამპანიების შედეგად. 2014 წელს გამოკითხულთა 67%-მა სწორად დაასახელა საია არასამთავრობო ორგანიზაციად, რაც 2011 წელს 56%-მა შეძლო. 42%-მა სწორად დაასახელა „სამართლიანი არჩევნები“

არასამთავრობო ორგანიზაციად, რაც 2011 წელს 30%-მა შეძლო. რესპონდენტების 30%-დან 43%-მდე სწორად დაასახელა არასამთავრობო ორგანიზაციებად ხუთი ახალი ორგანიზაცია, რომლებიც 2014 წელს დაემატა კითხვარს. მეორე მხრივ, რესპონდენტებმა ასევე ბევრად უკეთ უპასუხეს კითხვებს კერძო კომპანიების შესახებ და განაცხადეს, რომ ეს კომპანიები არ წარმოადგნედნენ არასამთავრობო ორგანიზაციებს. 42%-მა სწორად აღნიშნა, რომ „ალდაგი“ არ არის არასამთავრობო ორგანიზაცია, მაშინ, როდესაც 2011 წელს იგივე პასუხი რესპონდენტთა 30%-მა გასცა. რესპონდენტებმა ასევე უკეთ უპასუხეს კითხვებს საქართველოს პარლამენტისა და ლეიბორისტური პარტიის შესახებ - 2011 წელს მხოლოდ 48%-მა განაცხადა, რომ ლეიბორისტული პარტია არ იყო არასამთავრობო ორგანიზაცია, 2014 წელს იგივე პასუხი 62%-მა გასცა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს შედეგები არ არის იდეალური, ისინი ცხადყოფს, რომ ქართული საზოგადოების ცოდნის დონე არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ბოლო სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ის რესპონდენტები, ვინც სწორად დაასახელა არასამთავრობო ორგანიზაციები, უფრო ახალგაზრდები და განათლებულები არიან. რესპონდენტები, ვინც სწორად უპასუხა კითხვას USAID-ის შესახებ, მეტწილად ქალაქებში ცხოვრობენ, ხოლო რესპონდენტები, ვინც სწორად უპასუხა კითხვებს საია-ს, „სამართლიანი არჩევნების“, სოროსის ფონდისა და ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ შესახებ, მეტწილად მამაკაცები არიან. რესპონდენტები, ვინც სწორად აღნიშნა, რომ კერძო კომპანიები არასამთავრობო ორგანიზაციები არ არიან, ასევე უფრო ახალგაზრდები და განათლებულები არიან. ისინი, ვინც სწორად უპასუხა კითხვებს BP-სა და საქართველოს პარლამენტის შესახებ, მეტწილად მამაკაცები არიან.



მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელების ვინაობა, ბევრად უფრო მეტისთვის ცნობილია ამ ორგანიზაციების ბოლოდროინდელი კამპანიები, რომლებიც აქტუალურ საკითხებს ეხებოდა. რესპონდენტთა 74%-მა აღნიშნა, რომ სმენია იმ კამპანიის შესახებ, რომელიც ჰუდონჰესის მშენებლობის წინააღმდეგ მიმდინარეობს, 67%-ს სმენია თბილისში 2013 წლის 17 მაისს გამართული დემონსტრაციების შესახებ, ხოლო 49%-სთვის ცნობილია კამპანია „ეს შენ გეხება“. სამივე კამპანიის შემთხვევაში, მათ შესახებ ყველაზე უფრო ხშირად სმენიათ მამაკაცებს, ვისაც უკეთესი განათლება აქვთ მიღებული და უფრო მაღალი შემოსავალი აქვთ. რესპონდენტები, რომლებსაც 17 მაისის დემონსტრაციების შესახებ სმენიათ, მეტწილად ახალგაზრდები არიან.

არასამთავრობო ორგანიზაციების არსის გაგება

2011 წელს G-PAC-ის გამოკითხვის ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი შედეგი ის იყო, რომ რესპონდენტთა ძალზე დიდმა ნაწილმა ყველა კითხვაზე, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებს ეხებოდა, პასუხი „არ ვიცი“ აირჩია. კითხვებზე, რომლებშიც რესპონდენტებს ეკითხებოდნენ, წარმოადგნედა თუ არა დასახელებული დაწესებულებება არასამთავრობო ორგანიზაციას, 2011 წელს საშუალოდ 34%-მა

განაცხადა, რომ პასუხი არ იცოდა. იმ შვიდი კითხვის პასუხადაც, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებულ მათ პირად შთაბეჭდილებებს, შეხედულებებსა და განწყობებს ეხებოდა, რესპონდენტთა საშუალოდ 45%-მა განაცხადა, რომ პასუხი არ იცოდა. ეს სავარაუდოდ იმაზე მიუთითებდა, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცოდა, თუ რას წარმოადგენდნენ და რაზე მუშაობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები.



2014 წლის გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ზემოხსენებულ კითხვებზე პასუხი „არ ვიცი“ აირჩიეს, მნიშვნელოვნად შემცირდა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, ქართულმა საზოგადოებამ ბევრად მეტი იცის არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ. 2011 წელს გამოკითხულთა 34%-მა ვერ დაასახელა ვერც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია; 2014 წელს კი ასეთი რესპონდენტების წილი 28%-მდე შემცირდა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ იმ შვიდი კითხვის პასუხად, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებულ პირად შთაბეჭდილებებს ეხება, 2011 წელს პასუხი „არ ვიცი“ საშუალოდ 45%-მა აირჩია, მაშინ, როდესაც 2014 წელს იგივე პასუხი 33%-მა დააფიქსირა. ყველა ასეთ შემთხვევაში, ის ადამიანები, ვინც ვერ უპასუხა ამ კითხვებს, მეტწილად უფროსი ასაკის და ნაკლებად განათლებული პირები არიან. აღსანიშნავია, რომ იმ რესპონდენტებს შორის, ვინც ეს პასუხი აირჩია, არ ფიქსირდება განსხვავებები სქესის ან დასახლებული პუნქტის ტიპის მიხედვით, ანუ იმის ალბათობა, რომ რესპონდენტმა პასუხი არ იცოდა, თანაბარი იყო ორივე სქესის და ქვეყნის ნებისმიერი რეგიონის როგორც ქალაქის, ისე სოფლის ტიპის დასახლებებში.

მართალია, კვლავ მაღალია იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც აცხადებს, რომ არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გასაცემად, მაგრამ 2014 წელს იმ რესპონდენტთა რიცხვის მნიშვნელოვანი შემცირება, რომლებმაც პასუხი „არ ვიცი“ აირჩიეს, მიანიშნებს, რომ ქართული საზოგადოება სულ უფრო და უფრო უკეთ ერკვევა ამ სფეროში და არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ ამ საკითხზე ისაუბროს. ეს აგრეთვე ნიშნავს, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საზოგადოების ცოდნა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ და რას აკეთებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, და ხალხი სულ უფრო და უფრო გაბედულად ხმარობს ტერმინს „არასამთავრობო ორგანიზაცია“.

IV. არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულება

კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც შეიძლება განაპირობებდეს საქართველოში ფორმალური სამოქალაქო ჩართულობის დაბალ დონეს, მიუხედავად მოსახლეობის ალტრუიზმისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კონკრეტულ კამპანიებში მონაწილეობის მიმართ გამოხატული ინტერესის მაღალი დონისა, არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი უნდობლობა და უარყოფითი განწყობებია. ეს პრობლემა, რასაკვირველია, 2011 წელსაც

არსებობდა, თუმცა 2014 წლის გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი ნდობა და მათი მუშაობის ეფექტურობის რწმენა ბოლო სამი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. აგრეთვე გაიზარდა ნდობა არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებისადმი; დადებითი განწყობები ძლიერდება აქტიური მოქალაქეებისადმი, ვინც ხალხის ორგანიზებას ცდილობს კოლექტიური პრობლემების მოსაგვარებლად. მაგრამ რჩება „საკითხების შეუსაბამობის“ პრობლემა, ანუ ის გარემოება, რომ ის საკითხები, რომლებზეც არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ, თანხვედრაში არ არის იმ საკითხებთან, რომლებსაც ხალხი პირადად მათთვის და საზოგადოებისთვის ყველაზე აქტუალურად მიიჩნევს.

ნდობა არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი



არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი ნდობა, რომელიც სხვა ინსტიტუტებისადმი არსებულ ნდობის დონესთან შედარებით ჯერ კიდევ დაბალია, 2011 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2011-დან 2014 წლამდე ის 18%-დან 28%-მდე, ანუ ათი პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როდესაც ასევე ათი პროცენტით, 26%-დან 36%-მდე, გაიზარდა იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც ამ ორგანიზაციებისადმი ნეიტრალურადაა განწყობილი, ანუ არც ენდობიან და არც არ ენდობიან. საზოგადოებაში განსაკუთრებით ძლიერია ნდობა ჯარისადმი და პოლიციისადმი - შესაბამისად, 82% და 59%; თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი ნდობის ახალი მაჩვენებელი დიდად არ ჩამორჩება ნდობას ადგილობრივი ხელისუფლებისადმი (34%), პარლამენტისადმი (32%) და სასამართლოებისადმი (30%). იმ ადამიანების მსგავსად, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში მეტად არიან ჩართული, ისინი, ვინც უფრო ენდობა არასამთავრობო ორგანიზაციებს, მეტწილად უფრო ახალგაზრდები და განათლებულები არიან და ნაკლებად ცხოვრობენ ქალაქებში.

2014 წლის გამოკითხვის ერთ-ერთი ახალი კითხვა ეკითხება რესპონდენტებს: „თქვენი აზრით, რამდენად დიდი, ან რამდენად მცირე გავლენა შეიძლება იქონიოს მოქალაქეების აქტიურობამ არასამთავრობო ორგანიზაციებში ქართულ პოლიტიკაზე?“. მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობებში ფაქტობრივი მონაწილეობის დაბალი დონისა, გამოკითხულთა 30%-ს მიაჩნია, რომ მოქალაქეების აქტიურობა არასამთავრობო ორგანიზაციებში დიდ გავლენას ახდენს ქართულ პოლიტიკაზე; 12% ფიქრობს, რომ ეს გავლენა დაბალია; და მხოლოდ 8% ფიქრობს, რომ ეს გავლენა ნულის ტოლია. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ მოქალაქეების აქტიურობა არასამთავრობო ორგანიზაციებში გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე, მეტწილად უფრო ახალგაზრდა და განათლებული ქალები არიან. აქაც კვლავ იკვეთება ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდა თაობა უფრო დადებითად არის განწყობილი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათი როლის მიმართ დემოკრატიულ პოლიტიკურ პროცესებში.

სამწუხაროდ, გამოკითხულთა მხოლოდ 15% აცხადებს, რომ გაჭირვების დროს დახმარებისთვის მიმართავდა არასამთავრობო ორგანიზაციებს. აბსოლუტური

უმრავლესობა - 88% - დახმარებისთვის მიმართავდა ნათესავებს, 73% - მეგობრებს, 37% - ადგილობრივ ხელისუფლებას, 21% კი - მოძღვარს. ამასთანავე, კითხვაზე, თუ რა არის არასამთავრობო ორგანიზაციების მთავარი მიზანი, ყველაზე ხშირი პასუხია - „დაეხმარონ საქართველოს მოსახლეობას პრობლემების მოგვარებაში“ (41%); 2011 წელს ანალოგიური პასუხი 30%-მა გასცა. რესპონდენტთა მხოლოდ 21% ფიქრობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მთავარ მიზანს დაფინანსების მიღება და საკუთარი წევრების დასაქმება წარმოადგენს, რაც სტატისტიკური თვალსაზრისით მსგავსია იმ 19%-სა, რომელიც 2011 წელს იმავე მოსაზრებას გამოთქვამდა. რესპონდენტთა 21% კი აცხადებს, რომ ამ კითხვის პასუხი არ იცის, მაშინ, როდესაც 2011 წელს ასეთი პასუხი 31%-მა გასცა.

დამოკიდებულება არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტებისა და აქტიური მოქალაქეების მიმართ



კიდევ ერთი შესაძლო მიზეზი, რის გამოც ფორმალური სამოქალაქო ჩართულობა არ არის ფართოდ გავრცელებული საქართველოში, შეიძლება იყოს უარყოფითი დამოკიდებულება არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტებისა და, ზოგადად, აქტიური მოქალაქეების მიმართ. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა იდეოლოგიურ მემკვიდრეობას; არ არის გამორიცხული, რომ ადამიანები, ვინც მოსახლეობის მობილიზაციას და საერთო პრობლემების ხალხის ძალებით მოგვარებას ცდილობენ, არ ითვლებიან ნდობის ღირსად, ვინაიდან, მოსახლეობის ნაწილის გადასახედიდან, ისინი სხვის საქმეში ერევიან ან სურთ პირადი სარგებელი ნახონ.



ამის მიუხედავად, 2014 წლის გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ იმ ადამიანებისადმი ნდობა, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებში აქტიურად არიან ჩართული, გაიზარდა. მოსახლეობის 29% არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტების მიმართ მაღალ ნდობას აფიქსირებს, 40% მათ მიმართ ნეიტრალურად არის განწყობილი, უნდობლობას კი მხოლოდ 15% გამოხატავს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2011 წელს არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტებს მოსახლეობის 21% ენდობოდა, 30% კი მათ მიმართ ნეიტრალურად იყო განწყობილი, ნდობის დონე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. ისევე, როგორც 2011 წელს, ხალხის დიდი ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციებში აქტიურად ჩართულ ადამიანებს კვლავ დადებითად ახასიათებს და აღნიშნავს, რომ ისინი ქვეყანაში მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობენ (21%) და ჩვეულებრივი ადამიანების დახმარება სურთ (16%), ხოლო რესპონდენტთა ბევრად მცირე ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტებს „გრანტიჭამიებად“ (6%) ან „არამკითხე მოამბეებად“ (2%) მოიხსენიებს. ის რესპონდენტები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების

აქტივისტებს დადებითად ახასიათებენ, მეტწილად არიან ახალგაზრდები, განათლებულები და ცხოვრობენ სოფლებში; ხოლო ისინი, ვინც მათ უარყოფითად ახასიათებენ, ასევე უფრო განათლებულები არიან, მაგრამ მეტწილად დედაქალაქში და სხვა ქალაქებში ცხოვრობენ. ამავე დროს, რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (40%) აცხადებს, რომ არ იცის, როგორ დაახასიათოს ეს ადამიანები.

G-PAC-ის კითხვარი ასევე შეიცავდა კითხვებს, რომლებიც რესპონდენტთა სამეზობლოებში მცხოვრებ აქტიურ მოქალაქეებს ეხებოდა. რესპონდენტთა 61%-მა განაცხადა, რომ ჰყავთ „ისეთი მეზობელი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში თავს მოუყრის ხალხს სამეზობლოში არსებული პრობლემის მოსაგვარებლად, ან თავად მოაგვარებს პრობლემას“. რესპონდენტთა 29%-ს ასეთი მეზობელი არ აღმოაჩნდა, ხოლო 10%-მა პასუხი ვერ გასცა. მათ, ვისაც ასეთი მეზობელი ჰყავს, შედარებით მაღალი ოჯახის შემოსავალი აქვთ. ისინი თანაბრად ცხოვრობენ როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში. იმ ადამიანთა 80%, ვისაც ასეთი მეზობელი ჰყავს, ფიქრობს, რომ სხვა მეზობლების უმრავლესობა ამ მეზობელის მიმართ დადებითად არის განწყობილი. მათი 17% ფიქრობს, რომ სხვა მეზობლები აქტიური მეზობლის მიმართ ნეიტრალურად არიან განწყობილნი და მხოლოდ 1% ფიქრობს, რომ სხვა მეზობლების დამოკიდებულება ამ ადამიანის მიმართ უარყოფითია. აქტიური მეზობლების მიმართ უარყოფითი ან ნეიტრალური დამოკიდებულება უფრო მეტად ქალაქებში გვხვდება. გამოკითხულთა 58%-მა განაცხადა, რომ ეს მეზობელი ოფიციალურად იქნა არჩეული სამეზობლოს პრობლემების მოსაგვარებლად, 33%-მა აღნიშნა, რომ ის არჩეული არ ყოფილა, 10%-მა კი პასუხი არ იცოდა. სამეზობლოს აქტიური წევრების ოფიციალურად არჩევა ქალაქებში უფრო ხშირია.

რესპონდენტებს ასევე ჰკითხეს, თუ რა აზრისა არიან ადამიანებზე, რომლებიც სამეზობლოში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ფულს აგროვებენ. რესპონდენტთა მხოლოდ 6% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ამ ადამიანებს ეჭვის თვალით უყურებენ, რადგან ისინი ფულის შეგროვებით სარგებელს ნახულობენ. რესპონდენტთა 81% დაეთანხმა საწინააღმდეგო მოსაზრებას, რომ ისინი ამ ადამიანებს დიდ პატივს სცემენ, რადგან ისინი ენერგიას ხარჯავენ ყველასთვის საჭირო საქმისთვის. ამ კითხვაზე რესპონდენტებმა 2011 წელსაც მსგავსი პასუხები გასცეს, თუმცა 2014 წელს დადებითი შეფასება უფრო მკვეთრადაა გამოხატული - გამოკითხულთა 47% სრულად დაეთანხმა, 34% კი დაეთანხმა დადებით მოსაზრებას.

თუ შევაჯამებთ, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტების, ისე აქტიური მოქალაქეების მიმართ არსებული განწყობები, როგორც ჩანს, მეტწილად დადებითია. უარყოფითი განწყობები იმ ადამიანებისადმი, რომლებიც პრობლემების კოლექტიურად მოგვარების მიზნით მოსახლეობის ორგანიზებას ახდენენ, როგორც ჩანს, არასამთავრობო სექტორში ფორმალური ჩართულობის დაბალი დონის გამომწვევი მიზეზი არ უნდა იყოს.



საკითხების შეუსაბამობა

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც არასამთავრობო ორგანიზაციებში გაწევრიანებული ან მათ აქტივობებში ჩართული ქართველების რაოდენობა ასე

მცირეა, შესაძლოა ის იყოს, რომ, მოსახლეობის აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციები არ მუშაობენ იმ საკითხებზე, რომლებიც მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. G-PAC-ის გამოკითხვა შეიცავდა კითხვებს, რომელთა მიზანი იმის დადგენა იყო, თუ რა საკითხებია ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოს მოქალაქეებისთვის და, მეორე მხრივ, რა საკითხებზე მუშაობენ საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ყველაზე ხშირად.

2011 წლის მსგავსად, ახლაც გამოკითხულთა ყველზე დიდი ჯგუფი (31%) მიიჩნევს, რომ საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები ყველაზე დიდ ყურადღებას არჩევნების საკითხს უთმობენ. იმ გახმაურებული მუშაობის გათვალისწინებით, რომელიც ქართულმა არასამთავრობო სექტორმა ბოლო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დროს გასწია, ეს პასუხი გასაკვირი არ არის, თუმცა ის მკვეთრად განსხვავდება იმ ყველაზე აქტუალური საკითხებისგან, რომლებიც, ხალხის აზრით, საქართველოს წინაშე დგას. კითხვაზე, თუ რა არის პირადად მათთვის ამჟამად ყველაზე აქტუალური საკითხი, „სამართლიანი არჩევნები“ მხოლოდ რესპონდენტთა 1%-მა დაასახელა. ყველაზე მეტმა რესპონდენტმა „უმუშევრობა“ დაასახელა (30%), რასაც მოსდევდა „მშვიდობა“ (17%), „ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა“ (15%), „სიღარიბე“ (8%) და „ტერიტორიული მთლიანობა“ (6%). მეტიც, კითხვაზე, თუ რომელ საკითხებზე სურთ მათ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა უფრო მეტი იმუშავონ, არჩევნები მხოლოდ რესპონდენტთა 5%-მა დაასახელა, მაშინ, როდესაც სიღარიბე და უმუშევრობა (56%), ჯანდაცვა და სოციალური დახმარება (53%), განათლება (20%), უსაფრთხოება და კონფლიქტები (13%) და რეგიონული განვითარება (12%) ბევრად მეტმა რესპონდენტმა დაასახელა.



აშკარაა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ყველაზე უფრო ეკონომიკური და ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხები აღელვებს, შედარებით ნაკლებად - მშვიდობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ, ხალხის გარკვეული ნაწილის აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციები ყველაზე დიდ ყურადღებას საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ორ საკითხს - ჯანდაცვას და სოციალურ დახმარებას (17%) და სიღარიბეს და უმუშევრობას (15%) უთმობენ, იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც ასე ფიქრობს, ჯერ საკმაოდ დაბალია. იმის გათვალისწინებით, რომ რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილის აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს დიდ ყურადღებას არ უთმობენ, საკითხების შეუსაბამობა, როგორც ჩანს, ყველაზე დიდი ბარიერია, რომელიც არასამთავრობო სექტორში ხალხის მონაწილეობის ზრდას ხელს უშლის 2014 წელს.

ისევე, როგორც 2011 წელს, კვლავ არსებობს შეუსაბამობა, ერთი მხრივ, იმ პრობლემებს შორის, რომლებიც, ხალხის აზრით, ქვეყნისა და მოსახლეობისთვის ყველაზე აქტუალურია და, მეორე მხრივ, იმ საკითხებს შორის, რომლებსაც არასამთავრობო ორგანიზაციები ყველაზე დიდ ყურადღებას უთმობენ. შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც წევრების მოზიდვა და მათ ღონისძიებებში მონაწილეთა

რაოდენობის გაზრდა სურთ, ვალდებულნი არიან, ბევრი იმუშაონ იმისთვის, რომ მათი კამპანიები იმ საკითხებზე იყოს ფოკუსირებული, რომლებიც ყველაზე აქტუალურად მიაჩნია მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მის უფრო ახალგაზრდა და უფრო განათლებულ ნაწილს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობის ინტერესს გამოხატავს.

V. სოციალური დინამიკა და თემის ორგანიზება

ფორმალურ არასამთავრობო სექტორში მოსახლეობის არასაკმარისი ჩართულობის კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და მეზობლებს შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობები ადამიანებს დროს აღარ უტოვებს, რომ დამატებითი ვალდებულებები აიღონ, და მათ დამატებითი სოციალური ჩართულობის სურვილი აღარ უჩნდებათ. 2014 წლის გამოკითხვის შედეგები გვაჩვენებს, რომ ოჯახის წინაშე არსებული ვალდებულებები მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის, შესაძლოა, სამოქალაქო ჩართულობის ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდეს, მაგრამ ეს ასე არ არის მოსახლეობის იმ ფენისთვის, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების ღონისძიებებში მონაწილეობის სურვილს გამოხატავს. შედეგები ასევე გვაჩვენებს, რომ ახლო მეგობრების მჭირდო ქსელის მიუხედავად, ქართველების უმეტესობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, ღიაა ახალი ადამიანების გაცნობისა და ახალი მეგობრების შეძენის შესაძლებლობისადმი. მეტიც, სამეზობლოებში არსებული სოციალური თანამშრომლობის მოდელები გვაჩვენებს, რომ ქართველებისთვის უცხო არ არის საერთო პრობლემების მოსაგვარებლად თემის ორგანიზების ლოგიკა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძლება გამოიყენონ რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად. დაბოლოს, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, სოციალიზაციის მაღალი დონის მიუხედავად, ქართველების უმეტესობა, სამწუხაროდ, არ საუბრობს პოლიტიკაზე ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან ან მეზობლებთან. ახალგაზრდები განსაკუთრებით გაურბიან პოლიტიკაზე საუბარს, რაც, შესაძლოა, მათთვის არასამთავრობო სექტორში ფორმალურად ჩართვის ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

ოჯახის დინამიკა



რესპონდენტებს პირდაპირ სთხოვეს, განმარტონ, თუ რატომ არ არიან დაინტერესებულნი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობებში მონაწილეობით. მათ მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული ორი მიზეზი ადასტურებს იმ აზრს, რომ მათი სოციალური სივრცე უკვე ძალიან გადატვირთულია და სამოქალაქო სექტორში ჩართვასთან დაკავშირე-ბული დამატებითი ვალდებულებების ასაღებად დრო აღარ რჩებათ. რესპონდენტთა 36% აცხადებს, რომ ურჩევნიათ, პირად და ოჯახის საქმეებს მიხედონ, 22% კი ამბობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობებში მონაწილეობა დროის ფლანგვად მიაჩნიათ. ამავე დროს, იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვინც ეთანხმება მოსაზრებას, რომ მათ სახლში იმდენი საქმე აქვს, რომ სხვა არაფრისთვის დრო აღარ რჩება (41%) უფრო მეტია, ვიდრე მათი რაოდენობა, ვინც ფიქრობს, რომ დრო სხვა საქმეებისათვისაც რჩება (32%). იმ ადამიანთა მახასიათებლები, ვისაც ურჩევნია, ოჯახის საქმეებზე იზრუნოს და ვინც ფიქრობს, რომ სახლში მეტისმეტად დაკავებულია, ერთმანეთის მსგავსია როგორც იმით, რომ მეტწილად მდედრობით სქესს

განეკუთვნებიან, ისე იმით, რომ დიდწილად სოფლებში ცხოვრობენ, მათ კი, ვისაც ოჯახის საქმეების კეთება ურჩევნია, ასევე შედარებით დაბალი განათლება აქვთ მიღებული. რესპონდენტთა ეს ჯგუფი განსხვავდება იმ უფრო განათლებული ფენისგან, რომელიც მეტი ალბათობითაა რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი ან არასამთავრობო ორგანიზაციის აქტივობებში მონაწილეობის ინტერესს გამოხატავს.

მჭიდრო ოჯახური კავშირების მიუხედავად, ქართველების უმეტესობა ახლო ნათესავებს იმდენად ხშირად არ ნახულობს, რომ ამან სხვა აქტივობებში ხელი შეუშალოს. კითხვაზე, რამდენად ხშირად იკრიბებიან ახლო ნათესავებთან ერთად, რესპონდენტთა 21%-მა განაცხადა, რომ მათ ყოველდღე ან კვირაში ერთხელ მაინც ნახულობენ, 67%-მა თქვა, რომ მათ თვეში ერთხელ მაინც, ან მხოლოდ განსაკუთრებულ ღონისძიებებზე ნახულობენ, 11%-მა კი აღნიშნა, რომ მათ უფრო იშვიათად ნახულობენ. ქართველები ახლო მეგობრებს ბევრად უფრო ხშირად ხვდებიან. ახალგაზრდები და ის რესპონდენტები, რომელთა ოჯახის შემოსავალი უფრო მაღალია, მეგობრებს უფრო ხშირად ხვდებიან. მეტიც, ქართველების უმეტესობას (51%) მიაჩნია, რომ მათი ოჯახები მათგან ძალიან ბევრს არ ითხოვენ. ისინი, ვინც ასე ფიქრობს, მეტწილად უფრო ახალგაზრდა მამაკაცები არიან, თუმცა გამორჩეულად არც ერთ ეკონომიკურ ან გეოგრაფიულ ჯგუფს არ მიეკუთვნებიან.

კიდევ ერთი საინტერესო მონაცემი, რომელიც ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ ოჯახური ვალდებულებები, შესაძლოა, ადამიანებს ართმევდეს დროს და ენერგიას, რომელიც დამატებითი სამოქალაქო ვალდებულებების ასაღებად არის საჭირო, ის გარემოებაა, რომ ერთადერთი ოჯახთან დაკავშირებული მახასიათებელი, რომელიც ფორმალური ორგანიზაციების წევრებს ახასიათებს, ის არის, რომ მათ ოჯახებში უფრო ცოტა სრულწლოვანი წევრია. ანუ რაც უფრო მცირეა ოჯახის წევრთა რაოდენობა, რაც რესპონდენტთან ერთად მცხოვრები სრულწლოვანი ადამიანების რაოდენობით იზომება, მით უფრო მაღალია ალბათობა, რომ ადამიანები ფორმალური არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები გახდნენ. თუმცა ეს ტენდენცია არ ვრცელდება იმ ოჯახებზე, რომლის წევრთა რაოდენობის ზრდასაც ბავშვების რაოდენობა განაპირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვის შედეგების საფუძველზე შეუძლებელია იმის დანამდვილებით გაგება, თუ რატომ იკავებენ თავს მეტი სრულწლოვანი წევრისგან შემდგარ ოჯახებში მცხოვრები ადამიანები არასამთავრობო ორგანიზაციების ფორმალური წევრობისგან, ჩვენ შეგვიძლია ამასთან დაკავშირებული ორი თეორია განვიხილოთ. ერთი მხრივ, თუ ოჯახში ბევრი სრულწლოვანი წევრი ცხოვრობს, ეს შესაძლოა მიუთითებდეს, რომ ოჯახი რამდენიმე თაობის წარმომადგენლებისაგან შედგება და უფრო ტრადიციულ ღირებულებებს მისდევს, რომლებიც ღიაობაზე მეტად სოციალურ იზოლაციას უწყობს ხელს. ამასთან, სოციალური ურთიერთქმედების, პირადი პრობლემებისა და ოჯახთან დაკავშირებული გამოწვევების უფრო მაღალი ალბათობა, რომელიც დიდი ოჯახებისთვისაა დამახასიათებელი, სავარაუდოდ, ოჯახის წევრებს ნაკლებ დროს და ენერგიას უტოვებს ოჯახის გარეთ საქმიანობისთვის. ასეთი ლოგიკის სუსტი წერტილი იმაში მდგომარეობს, რომ ის ადამიანები, რომელთა ოჯახებიც უფრო მცირერიცხოვანია, დამატებით სოციალურ კავშირებს უნდა ეძებდნენ და მათ კლუბებში, სხვადასხვა გართიანებებსა და სხვა ფორმალურ სამოქალაქო ორგანიზაციებში ეძებენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ის 2%, რომელიც ამჟამად ფორმალურ ორგანიზაციებშია გაწევრიანებული, იმდენად მცირე რაოდენობაა, რომ შესაძლოა, მათთვის დამახასიათებელი ლოგიკა მოსახლეობის დანარჩენ ნაწილზე არ ვრცელდებოდეს.

ღიაობა ახალი ადამიანების გაცნობის მიმართ



არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობისათვის საკმარისი დროის არქონა შესაძლოა, ოჯახური ვალდებულებების გარდა, მეგობრებთან ხშირი ურთიერთობითაც იყოს განპირობებული. ისევე, როგორც 2011 წელს, ქართველების 92%-მა განაცხადა, რომ ჰყავს ახლო მეგობრები. რესპონდენტთა ის 7%, რომელიც აცხადებს, რომ ახლო მეგობრები არ ჰყავს, მეტწილად უფროსი ასაკის პირებისგან შედგება, რომლებიც ქალაქებში ცხოვრობენ. ქართველების უმეტესობა ნათესავებზე ხშირად ახლო მეგობრებს ხვდება. მათი 55% აცხადებს, რომ ახლო მეგობრებს ყოველდღე ან კვირაში ერთხელ მაინც ხვდება, 35% ამბობს, რომ მათ თვეში ერთხელ ან მხოლოდ განსაკუთრებულ ღონისძიებებზე ნახულობს, 10% კი ამბობს, რომ მათ უფრო იშვიათად ხვდება. ისინი, ვინც მეგობრებს უფრო ხშირად ხვდებიან, მეტწილად ახალგაზრდა მამაკაცები არიან. შესაძლოა, რომ ახლო მეგობრებთან ასეთი ხშირი ურთიერთობა ქართველებს სხვა აქტივობებისთვის დროს არ უტოვებდეს; თუმცა, თეორიულად ისიც შესაძლებელია, რომ მეგობრები ერთად გაწევრიანდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებში ან ერთად მიიღონ მონაწილეობა მათ აქტივობებშიც.

იმ ვალდებულებების მიუხედავად, რომლებიც ქართველებს თავისი მეგობრების მიმართ გააჩნიათ, მათი უმეტესობა ღიაა ახალი მეგობრების შეძენის შესაძლებლობისადმი. რესპონდენტთა 73% არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ მათ უკვე ბევრი მეგობარი ჰყავთ და ახალი მეგობრების შეძენა აღარ სჭირდებათ, მაშინ, როდესაც 2011 წელს იგივეს 64% ამბობდა. ამასთან, რესპონდენტთა 74% აცხადებს, რომ მათ სიამოვნებთ ახალ ადამიანებთან შეხვედრა, მაშინ, როდესაც 2011 წელს იგივეს 67% ამბობდა. ის რესპონდენტები, ვინც დაინტერესებულია ახალი მეგობრების შეძენით, მეტწილად უფრო ახალგაზრდები არიან და სოფლებში ცხოვრობენ. ისინი, ვისაც სიამოვნებს ახალი ადამიანების გაცნობა, ასევე მეტწილად ახალგაზრდები არიან და სოფლებში ცხოვრობენ, მაგრამ, ამავე დროს, უკეთესი განათლება აქვთ მიღებული და მათი ოჯახის შემოსავლებიც უფრო მაღალია. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველების დიდი უმრავლესობა დაინტერესებულია ახალი მეგობრების შეძენით, მათ 50%-ს ბოლო ერთი წლის განმავლობაში ახალი მეგობარი არ შეუძენია. იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც ახალი მეგობრები შეიძინეს, ისინი არსებული მეგობრების (22%), ნათესავების (9%) ან თანამშრომლების (9%) მეშვეობით, ან სასწავლებელში (9%) გაიცნეს.

თემის ორგანიზება

G-PAC-ის გამოკითხვაში ასევე გაანალიზებულია ის სოციალური დინამიკა, რომელიც საქართველოში მეზობლებს შორის არსებობს. ეს ინფორმაცია საჭიროა, რათა უკეთ გავიგოთ, ხდება თუ არა სამეზობლოს მობილიზაცია საერთო პრობლემების მოსაგვარებლად, და თუ ხდება - როგორ. თუ მოქალაქეთა უმეტესობა პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართავს ან ურჩევნია, პრობლემები

კოლექტიურის ნაცვლად ინდივიდუალური მიდგომით მოაგვაროს, მათ შეიძლება უბრალოდ ვერ დაინახონ თემის ორგანიზების არსი ან მისგან მომდინარე სარგებელი, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებაში არსებული საერთო პრობლემების მოსაგვარებლად იყენებენ.



გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ რესპონდენტების უმეტესობა (58%) უკვე 20 წელზე მეტია, რაც ახლანდელ სამეზობლოში; მათ რიცხვში შედის ის 25%, რომელიც 40 წელზე მეტია, რაც ახლანდელ სამეზობლოში ცხოვრობს. მოსახლეობის 29%-ისთვის ახლანდელ სამეზობლოში ცხოვრების ხანგრძლივობა 4-დან 20 წლამდე პერიოდით განისაზღვრება და მხოლოდ 11% აცხადებს, რომ მხოლოდ 0-3 წელია, რაც ახლანდელ სამეზობლოში ცხოვრობს. ამგვარად, გასაკვირი არ არის, რომ ქართველების 56%-ის თქმით, ისინი მათ სამეზობლოში ყველა ოჯახს იცნობენ და მხოლოდ 1% ამბობს, რომ სამეზობლოში არც ერთ ოჯახს არ იცნობს. ქართველების 64% მეზობლებს ყოველ დღე ესაუბრება, 25% მათ კვირაში ერთხელ მაინც ესაუბრება და მხოლოდ 1% აცხადებს, რომ მეზობლებს არასოდეს ესაუბრება. ისინი, ვინც მეზობლებს ყველაზე ხშირად ესაუბრებიან, მეტწილად სოფლებში ცხოვრობენ და, როგორც წესი, არ არიან დასაქმებული, ამიტომ, სავარაუდოდ, მეტი თავისუფალი დრო აქვთ.

კითხვაზე, თუ როგორ აგვარებენ მეზობლები საერთო პრობლემებს, რესპონდენტთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ ისინი პრობლემების ერთობლივად მოგვარების ამა თუ იმ საშუალებას პოულობენ, იმის ნაცვლად, რომ მიმართონ ადგილობრივ ხელისუფლებას ან ინდივიდუალურად მოაგვარონ არსებული პრობლემები. რესპონდენტთა 72% აცხადებს, რომ მათ სამეზობლოში არის საერთო ფართი, რომლის დასუფთავებაც რეგულარულად ხდება. რესპონდენტების მხოლოდ 15% აცხადებს, რომ საერთო ფართის დასუფთავება ადგილობრივი ხელისუფლების მეშვეობით ხდება და მხოლოდ 6% ამბობს, რომ ამ ფართის დასასუფთავებლად სხვა ადამიანს ქირაობენ. საერთო ფართის დასუფთავების ყველაზე გავრცელებული მეთოდია მეზობლების მიერ ერთობლივად დასუფთავება (49%) ან მეზობლების მიერ მორიგეობით დასუფთავება (28%). ამასთანავე, ჰიპოთეტურ კითხვაზე, რას მოიმოქმედებენ, სამეზობლოში ხე რომ წაიქცეს და გადაღობოს შესასვლელი, რომლითაც ყველა სარგებლობს, მხოლოდ 5%-მა თქვა, რომ პრობლემის მოსაგვარებლად ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართავენ და მხოლოდ 4%-მა განაცხადა, რომ საბინაო ამხანაგობის თავმჯდომარეს მიმართავენ. გამოკითხულთა 38%-მა აღნიშნა, რომ მეზობლები შეეცდებიან, პრობლემა ერთობლივად მოაგვარონ, 21%-მა კი განაცხადა, რომ ამ პრობლემას ის მეზობელი მოაგვარებს, რომელსაც ეს პრობლემა ყველაზე მეტად შეაწუხებს. დანარჩენმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ამ პრობლემის გადაჭრაზე ის მეზობლები იზრუნებენ, ვისაც ამისთვის ეცლება (7%) ან ამას აქტიური მეზობლების პატარა ჯგუფი გააკეთებს (6%). ამგვარად, კვლევის შედეგები გვაჩვენებს, რომ ქართველებს კარგად ესმით საერთო პრობლემების მოსაგვარებლად ხალხის ორგანიზების მნიშვნელობა. ეს მიდგომა რეგიონული ან ეროვნული მნიშვნელობის პრობლემების მოგვარებაზეც უნდა გავრცელდეს, რაც საერთო ინტერესების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებმა უნდა განახორციელონ.

პოლიტიკური დიალოგი

სოციალურად აქტიური ცხოვრების მიუხედავად, ქართველები, როგორც ჩანს, ნაკლებად საუბრობენ პოლიტიკაზე ნათესავებთან, მეგობრებთან და მეზობლებთან. მაშინ, როდესაც ქართველების 66% ხშირად განიხილავს პირად პრობლემებს ახლო ნათესავებთან, პოლიტიკაზე მათთან მხოლოდ 23% საუბრობს. კიდევ უფრო ნაკლები მათგანი საუბრობს პოლიტიკაზე მეგობრებთან (18%). მიუხედავად იმისა, რომ ქართველების 29% მეზობლებთან საერთო პრობლემებს განიხილავს, საუბრის თემა პოლიტიკაზე მხოლოდ 14%-მა შეიძლება გადაიტანოს. საინტერესოა, რომ ისინი, ვინც პირად პრობლემებს ნათესავებთან განიხილავს და საერთო პრობლემებზე მეზობლებთან საუბრობს, მეტწილად უფროსი ასაკის ქალები არიან, ხოლო ისინი, ვინც ხშირად საუბრობს პოლიტიკაზე ნათესავებთან, მეგობრებთან და მეზობლებთან, მეტწილად უფროსი ასაკის მამაკაცები არიან, რომლებსაც უფრო მაღალი განათლება აქვთ მიღებული. ისინი, ვინც პოლიტიკაზე მეზობლებთან საუბრობს, მეტწილად სოფლებში ცხოვრობენ. ქართველების 29% აღიარებს, რომ როდესაც რომელიმე პოლიტიკური საკითხის მიმართ მტკიცე პოზიცია აქვთ, ისინი ცდილობენ, დაარწმუნონ მათი მეგობრები, ნათესავები და მეზობლები მათი პოზიციის სისწორეში, 44% კი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. ის რესპონდენტები, რომლებიც მოსაუბრის გადარწმუნებას ცდილობენ, მეტწილად უფრო განათლებული მამაკაცები არიან.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები სოციალურად ძალზე აქტიურნი არიან, ეს სოციალური ჩართულობა არ გამოიყენება საზოგადოებრივი პრობლემების განხილვის ან მოგვარების მიზნით. მართალია, ახალგაზრდები არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობის ყველაზე მეტ თეორიულ ინტერესს გამოხატავენ, ისინი, როგორც ჩანს, ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და მეზობლებთან არ განიხილავენ ისეთ პოლიტიკურ საკითხებს, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციის კამპანიის თემა შეიძლება გახდეს.

VI. მოსახლეობის დამოკიდებულება დემოკრატიისადმი და საბჭოთა იდეოლოგიური მემკვიდრეობა

კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც შეიძლება განაპირობებდეს სამოქალაქო სექტორში ფორმალური ჩართულობის ნაკლებობას, ძნელად გადასალახი საბჭოთა იდეოლოგიური მემკვიდრეობაა, რომელიც ქართველებს ხელს უშლის, სრულად გააცნობიერონ დემოკრატიული პოლიტიკური მონაწილეობისა და პოლიტიკური ცვლილებებისთვის ბრძოლის დადებითი მხარეები, ან სჯეროდეთ მათი. G-PAC-ის გამოკითხვის რამდენიმე კითხვის მიზანი იმის გაზომვა იყო, თუ როგორ ესმით საქართველოს მოქალაქეებს პოლიტიკური მონაწილეობა და დემოკრატია, როგორია მათი დამოკიდებულება ამ ღირებულებების მიმართ და როგორ აღიქვამენ საკუთარ პოლიტიკურ ეფექტურობას. გამოკითხვის შედეგები გვაჩვენებს, რომ, 2011 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპონდენტთა დადებითი დამოკიდებულება პოლიტიკური მონაწილეობისა და დემოკრატიისადმი, ასევე - საკუთარი, როგორც მოქალაქის, ეფექტურობის შეგრძნება. როგორც ჩანს, საბჭოთა პერიოდის ერთადერთი გადმონაშთი ის არის, რომ ფართოდაა გავრცელებული მთავრობის მიერ თავსმოხვეული მოხალისეობის (მაგ., შაბათობების) დაბრუნების სურვილი. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მემკვიდრეობის ეს გამოვლინება გარკვეულწილად გვეხმარება იმის ახსნაში, თუ რატომ არ წევრიანდებიან ადამიანები არასამთავრობო ორგანიზაციებში საკუთარი სურვილით, ის, როგორც ჩანს, გავლენას არ ახდენს ახალგაზრდებზე, რომლებიც არასამთავრობო სექტორის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ.

პოლიტიკური მონაწილეობა და დემოკრატიისადმი დამოკიდებულება



კითხვაზე, მიიღებდნენ თუ არა მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში, თუ ისინი შემდეგ კვირას ჩატარდება, გამოკითხულთა უმრავლესობამ - 75%-მა - დადებითი პასუხი გასცა, რაც 2011 წელს დაფიქსირებულ 65%-ზე საგძნობლად მაღალი მაჩვენებელია. ისინი, ვინც არჩევნებში მონაწილეობას აპირებს, მეტწილად უფროსი ასაკის წარმომადგენლები არიან და რეგიონებში ცხოვრობენ. რესპონდენტთა 60%-მა და 62%-მა განაცხადა, რომ, შესაბამისად, მმართველობის ცენტრალური ორგანოების (პრეზიდენტის ან პარლამენტის) და ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებში მონაწილეობით მოქალაქეებს შეუძლიათ დიდი გავლენა მოახდინონ ქართულ პოლიტიკაზე. ამის საპირისპიროდ, მხოლოდ 12%-ს და 11%-ს მიაჩნია, რომ მოქალაქეთა მონაწილეობა, შესაბამისად, საპრეზიდენტო/საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებში ქართულ პოლიტიკაზე მცირე გავლენას ახდენს ან საერთოდ ვერ ახდენს გავლენას. საინტერესოა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა, ვისაც არჩევნების ეფექტურობის უფრო მეტად სჯერა, მეტწილად პატარა ქალაქებსა და სოფლებში ცხოვრობს. ამასთან, რესპონდენტთა 53% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ქართულ პოლიტიკაში მიმდინარე პროცესები რთულად გასაგებია. მიუხედავად იმისა, რომ ამ რესპონდენტებს მეტწილად

შედარებით დაბალი განათლება აქვთ მიღებული, ისინი თანაბრად არიან განაწილებული სქესის, დასახლებული პუნქტის ტიპის და ოჯახის შემოსავლების მიხედვით.

ქართველების 48% ძირითადად ან სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ მთავრობა დაქირავებულია ხალხის მიერ და ადამიანები უნდა იქცეოდნენ როგორც უფროსები და აკონტროლებდნენ მთავრობას. ამავე დროს, 43% ეთანხმება ან სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ ადამიანები ბავშვებივით არიან და მთავრობამ ისე უნდა იზრუნოს მათზე, როგორც მშობელი ზრუნავს შვილებზე. უფრო განათლებული მამაკაცი რესპონდენტები მეტწილად პირველ მოსაზრებას ეთანხმებიან. მართალია, თუ გავითვალისწინებთ შედეგების ცდომილებას, ვერ ვიტყვით, რომ 2011 და 2014 წლებს შორის მოხდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილება რესპონდენტების პასუხების განაწილებაში, მაინც აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც ეთანხმება მოსაზრებას, რომ მთავრობა დაქირავებულია ხალხის მიერ. 2011 წელს, რესპონდენტთა 30% ძირითადად ეთანხმებოდა, 16% კი სრულად ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ მთავრობა დაქიდაქირავებულია ხალხის მიერ, 2014 წელს კი ამ მოსაზრებას 19% ძირითადად დაეთანხმა, 29% კი სრულად დაეთანხმა. ეს დიდი კონტრასტია მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობის პასუხებთან - აქ გამოკითხულთა, შესაბამისად, მხოლოდ 22% და 21% ფიქრობს, რომ მთავრობა დაქირავებულია ხალხის მიერ, 71%-ს და 70%-ს კი მიაჩნია, რომ მთავრობა ხალხზე მშობელივით უნდა ზრუნავდეს.



მოსახლეობის 43% ძირითადად ან სრულად ეთანხმება მოსაზრებას: „პოლიტიკა ბინძური საქმეა და მე არ მინდა ამ ბინძურ საქმეში მონაწილეობა“, მაშინ, როდესაც 42% საწინააღმდეგო მოსაზრებას იზიარებს: „ყველა ქართველის მოქალაქეობრივი ვალია პოლიტიკაში ჩართვა იმისთვის, რომ უკეთესი ქვეყანა ავაშენოთ“. იმ ადამიანებს, ვინც მეორე მოსაზრებას ეთანხმებიან, მეტწილად უკეთესი განათლება აქვთ მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ 2011-შიც და 2014-შიც ამ კითხვამ ორ ნაწილად გაყო მოსახლეობა, 2014 წელს გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც მიაჩნია, რომ პოლიტიკაში ჩართვა მოსახლეობის მოქალაქეობრივი ვალია. 2011 წელს რესპონდენტთა 28% ძირითადად ეთანხმებოდა, 9% კი სრულად ეთანხმებოდა ამ მოსაზრებას, ხოლო 2014 წელს 20% ძირითადად დაეთანხმა, 22% კი სრულად დაეთანხმა.

დემოკრატიის კიდევ ერთი ასპექტია ისეთი სისტემა, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება მოვლენების საფუძვლიანი გააზრების და საზოგადოებასთან დიალოგის შედეგად ხდება. წარსულში საქართველოს ბევრი ლიდერი სწრაფ გადაწყვეტილებებს იღებდა სახელმწიფო რეფორმების გასატარებლად და ხალხში და ინტერესთა ჯგუფებს შორის კონსენსუსის ჩამოყალიბებას არ ელოდებოდა. 2014 წელს ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს მოქალაქეები მეტად არიან დაინტერესებული ისეთი მმართველობით, როდესაც



გადაწყვეტილებების მიღება საზოგადოებასთან დიალოგის შედეგად ხდება. გამოკითხულთა მხოლოდ 16% ეთანხმება მოსაზრებას: „სახელმწიფოს გასაძლიერებლად სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო და ახლა საქართველოს ხელისუფლებამ სწრაფად უნდა იმოქმედოს. ხალხისთვის აზრის კითხვამ, შესაძლოა, შეანელოს ეს პროცესი“, მაშინ, როდესაც უმრავლესობა (66%) იზიარებს მოსაზრებას, რომ „საქართველოს სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში გაძლიერდება, თუ ხელისუფლება ხალხის აზრს გაითვალისწინებს, თუნდაც ამან უფრო დიდი დრო წაიღოს“. ეს მონაცემები მნიშვნელოვან წინსვლაზე მიუთითებს, რადგან 2011 წელს მეორე მოსაზრებას რესპონდენტთა 56% ეთანხმება.

დაბოლოს, კითხვაზე, ეთანხმებიან თუ არა მოსაზრებას: „არ მინდა არანაირი პოლიტიკური ცვლილება, რადგან შეიძლება უარესი ვითარება შეიქმნას“, მოსახლეობის 32%-მა უარყოფითი პასუხი გასცა, 26% ამ მოსაზრებას არც დაეთანხმა და არც არ დაეთანხმა, 30% კი დაეთანხმა. მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის შედეგებთან შედარებით (შესაბამისად - 25%, 32% და 36%) დაფიქსირებული მცირე ცვლილებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის, ეს ცვლილებები მიუთითებს, რომ მოსახლეობის განწყობები უფრო ოპტიმისტური ხდება. მეტიც, ის გარემოება, რომ შედარებით პესიმისტურად განწყობილი რესპონდენტები მეტწილად უფროსი ასაკის ადამიანები არიან, ქართული პოლიტიკის უკეთეს მომავალზე მიუთითებს.

პოლიტიკური ეფექტურობის შეგრძნება



ქართველების პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლის კიდევ ერთი მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ, მოქალაქეთა აზრით, მათი მონაწილეობა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე დიდ გავლენას არ ახდენს. ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების კამპანიებში მონაწილეობის ინტერესი მაღალია, თავად მონაწილეობის დონე კი დაბალი. თუმცა, იმ კითხვების პასუხად, რომლებიც რესპონდენტების, როგორც მოქალაქეების, პოლიტიკური ეფექტურობის შეგრძნებას ეხება, 2011 წელთან შედარებით ბევრად მეტი ქართველი აცხადებს, რომ მოქალაქეთა აქტიურობა ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე გავლენას უფრო ახდენს, ვიდრე არ ახდენს.

ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესთან დაკავშირებული მოსაზრებები თვალშისაცემად შეიცვალა 2011 და 2014 წლებს შორის, რაც, სავარაუდოდ, ამ პერიოდში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებების პარალელურად ხდებოდა. 2011 წელს, კითხვაზე, „როდესაც საქართველოს ხელისუფლება მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს, თქვენი აზრით, ვინ ახდენს ყველაზე დიდ გავლენას ამ გადაწყვეტილებაზე?“, 59%-მა პრეზიდენტი დაასახელა. 2014 წელს, როდესაც ქვეყანას ახალი პრეზიდენტი ჰყავს, რესპონდენტების მხოლოდ 5% მიიჩნევს, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე ყველაზე დიდ გავლენას პრეზიდენტი ახდენს. ამის ნაცვლად, ახლა 25% ფიქრობს, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე ყველაზე დიდ გავლენას

პრემიერ-მინისტრი და მინისტრები ახდენენ, 22% კი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებებზე ყველაზე დიდ გავლენას ახლა უკვე ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი ახდენს. აღსანიშნავია, რომ ეს ორი პასუხის ვარიანტი კითხვარს 2014 წელს დაემატა. 2011 წლის მსგავსად, რესპონდენტთა 13% მიიჩნევს, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე ყველაზე დიდ გავლენას პარლამენტის წევრები და სხვა არჩეული თანამდებობის პირები ახდენენ. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვისაც მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენას უცხო ქვეყნების მთავრობები ახდენენ, ძალიან მცირეა; რესპონდენტების 4% ა.შ.შ.-ის მთავრობას, 1% - ევროკავშირს, ხოლო 0% რუსეთის მთავრობას ასახელებს. ასევე მცირეა იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც ფიქრობს, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე ყველაზე დიდ გავლენას დანიშნული თანამდებობის პირების ნათესავები (1%), ან ბიზნესმენები და მდიდარი ადამიანები (1%) ახდენენ. სამწუხაროდ, ასევე ძალზე მცირეა იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინც ფიქრობს, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე ყველაზე დიდ გავლენას ჩვეულებრივი ადამიანების აზრი ახდენს (1%) და არც ერთი რესპონდენტი არ მიიჩნევს, რომ ამ გადაწყვეტილებებზე ყველაზე დიდ გავლენას არასამთავრობო ორგანიზაციები ახდენენ.



პოზიტიური ტენდენციაა, რომ მოსახლეობის მშვიდობიან საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მნიშვნელობასა და დემონსტრაციების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსაზრებები დადებითისკენ შეიცვალა. 2011 წელს გამოკითხულთა 38% ეთანხმებოდა მოსაზრებას: „მოსახლეობის მიერ მშვიდობიანი საპროტესტო აქციების გამართვა, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ გზით ხელისუფლება იძულებული ხდება გაითვალისწინოს ხალხის მოთხოვნები“; 30% კი შემდეგ შეხედულებას იზიარებდა: „მოსახლეობის მიერ მშვიდობიანი საპროტესტო აქციების გამართვა ხელისუფლებისგან რაიმეს მოთხოვნის მიზნით უაზრობად მიმაჩნია, რადგან ხელისუფლება მაინც იმას გააკეთებს, რაც თავად უნდა“. 2014 წლის შედეგები არის, შესაბამისად, 58% (რაც 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 20%-ით მეტია) და 24%. მოსახლეობის უმრავლესობა, რომელსაც, 2014 წლის შედეგების თანახმად, აქციების გამართვა მნიშვნელოვნად მიაჩნია, მეტწილად განათლებული პირებისგან შედგება, მაგრამ, სხვა მხრივ, ისინი თანაბრად არიან განაწილებული სქესის, ასაკის, ეკონომიკური კეთილდღეობისა და დასახლებული პუნქტის ტიპის მიხედვით.

კიდევ ერთი კითხვა, რომელიც პოლიტიკური ეფექტურობის შეგრძნების გასაზომად არის გამიზნული, შემდეგნაირად ჟღერს: „დავუშვათ, ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც უსამართლოდ მიგაჩნიათ და ხალხმა მისი გაპროტესტება გადაწყვიტა. თქვენი აზრით, რამდენად შედეგიანი იქნება ეს პროტესტი?“ 2011 და 2014 წლებში რესპონდენტებმა ამ კითხვაზეც მნიშვნელოვნად განსხვავებული პასუხები გასცეს. 2011 წელს, ქართველების 29% ამ შესაძლებლობას უიმედოდ უყურებდა და მიიჩნევდა, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციებს ამ გადაწყვეტილების შეცვლის თვალსაზრისით მცირე შედეგი ექნებოდა ან არანაირ შედეგს

არ გამოიღებდა, 17% კი ფიქრობდა, რომ საპროტესტო აქციებს შეიძლება გავლენა მოეხდინა ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე. 2014 წელს კი პოზიციები შეიცვალა და მხოლოდ 22% ფიქრობს, რომ საპროტესტო აქციები შედეგს არ გამოიღებს, 36% კი მიიჩნევს, რომ საპროტესტო აქციები დაარწმუნებს მთავრობას გადაწყვეტილების შეცვლის აუცილებლობაში. ის ადამიანები, ვინც ამ კითხვას განსხვავებული პასუხები გასცეს, როგორც ჩანს, ერთმანეთისგან ძირითადად ასაკით განსხვავდებიან; უფრო ახალგაზრდა ქართველები საკითხს უფრო ოპტიმისტურად უყურებენ და ფიქრობენ, რომ ხალხის პროტესტს შეუძლია შეცვალოს მთავრობის არაპოპულარული გადაწყვეტილება.

მოქალაქეების ქმედებების პოლიტიკური ეფექტურობის რწმენის ზრდა იმის შეგრძნებაზეც აისახა, რომ დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღება უსაფრთხოა. 2011 წელს ქართველების 44% ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ „მოსახლეობის მიერ მშვიდობიანი საპროტესტო აქციების გამართვა უსაფრთხოა, რადგან კონსტიტუციის მიხედვით მოქალაქეებს აზრის გამოთქმის უფლება აქვთ“, ხოლო 22% მიიჩნევდა, რომ „მოსახლეობის მიერ მშვიდობიანი საპროტესტო აქციების გამართვა საშიშია, რადგან ხელისუფლება ყველაფერს თვალს ადევნებს“. 2014 წელს მოსახლეობის რაოდენობა, რომელსაც მიაჩნია, რომ აქციების ან დემონსტრაციების გამართვა საშიშია, 15%-მდე დაეცა, ხოლო მათი რაოდენობა, ვინც ფიქრობს, რომ აქციების გამართვა სრულიად უსაფრთხოა, 20%-ზე მეტით გაიზარდა უმრავლესობა შეადგინა (66%). იმ შეგრძნების ზრდა, რომ კონსტიტუცია პოლიტიკური ნების გამოხატვის სრული უსაფრთხოების გარანტიაა და მთავრობას არ შეუძლია ასეთი გამოხატვის გამო ადამიანების წინააღმდეგ ანგარიშსწორება მოაწყოს, ასევე იმის რწმენა, რომ აქციების გამართვა მნიშვნელოვანია და უაზრო არ არის, მათი შენარჩუნების შემთხვევაში, სავარაუდოდ, პოლიტიკური მონაწილეობის დონეზე დადებითად აისახება.



პოლიტიკური მონაწილეობისადმი დადებითი განწყობები იმ კითხვებზე მიღებულ პასუხებშიც ჩანს, რომლებიც კითხვარს 2014 წელს დაემატა და რომელთა მიზანია შევიტყოთ რესპონდენტების აზრი, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ქართულ პოლიტიკაზე მოქალაქეების მონაწილეობამ დემონსტრაციებში ან აქტიურობამ პოლიტიკურ პარტიებში. ქართველების 34%-ს მიაჩნია, რომ დემონსტრაციებში მონაწილეობამ შესაძლოა, დიდი გავლენა მოახდინოს ქართულ პოლიტიკაზე და მხოლოდ 19% ფიქრობს, რომ ეს გავლენა მცირეა (11%) ან საერთოდ არ არის (8%). ამის მსგავსად, მოსახლეობის 35% ფიქრობს, რომ მოქალაქეების აქტიურობას პოლიტიკურ პარტიებში შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ქართულ პოლიტიკაზე და მხოლოდ 16% მიიჩნევს, რომ ეს გავლენა მცირეა (8%) ან მას საერთოდ არ აქვს ადგილი (8%). ისინი, ვინც ფიქრობს, რომ მოქალაქეთა აქტიურობა პოლიტიკურ პარტიებში გავლენას ახდენს პოლიტიკაზე, მეტწილად უფრო ახალგაზრდები არიან, მაგრამ სქესის, განათლების დონის ან დასახლებული პუნქტის ტიპის მიხედვით არანაირად არ გამოირჩევიან. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქართველი თითქოს თავს იზღვევს და პოლიტიკური მონაწილეობის გავლენას საშუალო მაჩვენებლებით აფასებს, მათი დიდი ნაწილი მაინც პოლიტიკური ეფექტურობის რწმენისაკენ იხრება.

ძნელად დასაძლევი საბჭოთა იდეოლოგიური მემკვიდრეობა



ერთადერთი მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც ქართველები არადემოკრატიულად გამოიყურებიან, არის მათი დამოკიდებულება მთავრობის მიერ იძულებით თავსმოხვეული მოხალისეობისადმი. საბჭოთა პერიოდში მთავრობა „შაბათობების“ პრაქტიკას ნერგავდა, როდესაც ის აიძულებდა მოსახლეობას, რომ საერთო ფართი „საკუთარი ინიციატივით“ დაესუფთავებინათ. ქართველების მხოლოდ 12% ეთანხმება მოსაზრებას, რომ „კიდევ კარგი, ხელისუფლება მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობას არ გვაძალებს“, მათი უმრავლესობა კი (62%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ „საქართველოში უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა, ხელისუფლება მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობას რომ გვაძალებდეს“ (2011 წელს ამ მოსაზრებას 52% დაეთანხმა). ისინი, ვინც ამ უკანასკნელ მოსაზრებას ეთანხმება, მეტწილად შედარებით უფროსი ასაკის ქალები არიან, ვისაც შედარებით დაბალი განათლება აქვთ მიღებული. ეს ძნელად დასაძლევი სურვილი, რომ მთავრობამ მოსახლეობას მოხალისეობა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა დააძალოს, შესაძლოა არასამთავრობო ორგანიზაციებში გაწევრიანების დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მიზეზი იყოს. მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულება უმჯობესდება და საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართვის სურვილი რეალური ჩართულობის დონეზე ბევრად უფრო მაღალია, ალბათ ის მოსაზრება, რომ მთავრობამ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ორგანიზებაში გარკვეული როლი უნდა შეასრულოს, გარკვეულწილად განაპირობებს ჩართულობის დაბალ მაჩვენებელს. ამასთანავე, იმ შედარებით უფროსი ასაკის და ნაკლებად განათლებული 62%-ის მახასიათებლები, რომლებიც მთავრობის მიერ იძულებით თავსმოხვეულ მოხალისეობას ემხრობა, მნიშვნელოვნად განსხვავდება მოსახლეობის უფრო ახალგაზრდა და განათლებული ფენის მახასიათებლებისგან, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობებში მონაწილეობის ინტერესს გამოხატავს.

VII. დასკვნა

G-PAC-ის სამოქალაქო ჩართულობის მეორე გამოკითხვა აჩვენებს, რომ საქართველოში ბევრი მიმართულებით იქნა მიღწეული წინსვლა მოკლე პერიოდის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური სამოქალაქო ჩართულობის დონე კვლავ უკიდურესად დაბალია, თანამოქალაქეების მიმართ არაფორმალური ალტრუისტული ქცევების მაჩვენებელი მაღალი რჩება. მეტიც, იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობებში მონაწილეობის სურვილს გამოხატავენ, ბევრად აღემატება მოსახლეობის იმ მცირე სეგმენტს, რომელიც აღნიშნულ აქტივობებში რეალურად არის ჩართული. ბოლო სამი წლის განმავლობაში გაიზარდა არა მარტო არასამთავრობო ორგანიზაციების არსისა და საქმიანობის შესახებ საზოგადოების ცოდნის დონე, არამედ მნიშვნელოვნად ამაღლდა არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი და მათი

აქტივისტებისადმი არსებული ნდობის მაჩვენებელიც, და საზოგადოებაში ჩამოყალიბდა მოსახლეობის ფენა, საიდანაც არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ ახალი წევრების და მათი ღონისძიებების მონაწილეთა მოზიდვა.

მართალია, ქართველებს მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებთ ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და მეზობლებთან, გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ეს მოვალეობები მათ ხელს არ უშლის, რომ სამოქალაქო ჩართულობას საკმარისი დრო და ენერგია დაუთმონ. ეს განსაკუთრებით ეხება მოსახლეობის უფრო ახალგაზრდა და განათლებულ ფენას, რომელიც ყველაზე მეტადაა დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობებში მონაწილეობით. ქართველები კვლავინდებურად მზადყოფნას გამოთქვამენ ახალი ადამიანების გაცნობისა და ახალი მეგობრების შეძენის მიმართ, რის შესაძლებლობასაც მათ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობაც მისცემს. მეტიც, მეზობლებს, რომლებიც საერთო პრობლემების მოსაგვარებლად ერთობლივად მოქმედებენ, უკვე შექმნილი აქვთ მოდელები, რომლების საფუძველზეც დაინტერესებულ მოქალაქეებს შეუძლიათ, რეგიონულ თუ ეროვნულ დონეზე მათ წინაშე მდგარი საერთო პრობლემების დასაძლევად არასამთავრობო ორგანიზაციაში გაერთიანდნენ. გასულ წლებთან შედარებით, ამჟამად საქართველოს მოქალაქეები უკეთ იცნობენ და უფრო იმედიანად უყურებენ საკუთად დემოკრატიულ უფლებებსა და მოვალეობებს. ეს განსაკუთრებით ეხება უფრო ახალგაზრდა და განათლებულ თაობას, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების სამიზნე ჯგუფს უნდა წარმოადგენდეს. მთლიანობაში, ქართული საზოგადოება, როგორც ჩანს, მომწიფებულია არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით მეტი სამოქალაქო ორგანიზებისთვის.

G-PAC-ის გამოკითხვის შედეგები მიუთითებს არასამთავრობო ორგანიზაციების უზარმაზარ შესაძლებლობაზე, რომ მათი კამპანიები მიმართონ იმ ადამიანებზე, რომლებიც: 1) უკვე ჩართული არიან სოციალურად ორიენტირებულ, მაგრამ არაფორმალურ ალტრუისტულ ქცევებში; 2) ენდობიან არასამთავრობო ორგანიზაციებს; 3) აცხადებენ, რომ სურთ არასამთავრობო ორგანიზაციების ისეთ კამპანიებში მონაწილეობა, რომლებიც მიზნად ისახავს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებას; 4) მზადყოფნას გამოთქვამენ, გაიცნონ ახალი ადამიანები და შეიძინონ ახალი მეგობრები; 5) უფრო და უფრო აცნობიერებენ და რწმუნდებიან მათ დემოკრატიულ უფლებებში და პასუხისმგებლობაში, რომ გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. გამოკითხვის შედეგები ხაზს უსვამს, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ჩამოთვლილი თვისებებით ხასიათდება, მსგავს დემოგრაფიულ ჯგუფს განეკუთვნება. ისინი მეტწილად ახალგაზრდები და განათლებულები არიან, უფრო ხშირად იყენებენ ინტერნეტს, უკვე მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში ან გამოხატავენ ინტერესს მომავალში მიიღონ მონაწილეობა მათ აქტივობებში, თუ მათი ინტერესები არასამთავრობო ორგანიზაციების კამპანიების მიზნებთან შესაბამისობაში იქნება.

G-PAC-ის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციების ყველაზე დიდ გამოწვევას ის წარმოადგენს, რომ შეუსაბამონ მათ მიერ შერჩეული საკითხები იმ საკითხებს, რომლებსაც ყველაზე აქტუალურად თვლის ახალგაზრდა და განათლებული ადამიანებისგან შემდგარი ჯგუფი, რომლის მათ კამპანიებში და აქტივობებში მონაწილეობის ალბათობა ყველაზე მაღალია.

დანართი 1 - კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოს მოსახლეობის წარმომადგენლობითი გამოკითხვა სამოქალაქო ჩართულობის შესახებ ჩატარდა CRRC-საქართველოს მიერ 2014 წლის 23 აპრილიდან 6 მაისამდე. გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობის შეხედულებების შესწავლა სამოქალაქო ჩართულობის, სამოქალაქო აქტივობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოხალისეობის შესახებ. ინტერვიუები ჩატარდა მხოლოდ ქართულ ენაზე, შესაბამისად, გამოკითხული იქნა მხოლოდ ის რესპონდენტები, ვისაც თავისუფლად შეეძლო საუბარი ქართულ ენაზე. ეს იყო G-PAC-ის მოხალისეობისა და სამოქალაქო ჩართულობის შესწავლის პროექტის მეორე ეტაპი. პირველი ასეთი გამოკითხვა 2011 წლის ზაფხულში ჩატარდა.

რესპონდენტთა შერჩევა

2014 წლის გამოკითხვის სამიზნე მოსახლეობას ქართულად მოსაუბრე სრულწლოვანი პირები შეადგენდნენ, გარდა საქართველოს არაქართულენოვანი დასახლებების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახელოებისა და იმ პირებისა, ვინც დახურულ ობიექტებში (მაგ., სამხედრო ბაზებზე, ციხეებში და სხვ.) ცხოვრობდნენ, ან უსახლკარონი იყვნენ. შერჩევის ზომა 3732 ადამიანით განისაზღვრა, და 2410 ინტერვიუ ჩატარდა.

რესპონდენტთა შესარჩევად გამოყენებული იყო სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის მეთოდი. სამიზნე მოსახლეობა ოთხ სტრატად დაიყო: 1. დედაქალაქი; 2. დიდი ქალაქები (თელავი, რუსთავი, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი); 3. პატარა ქალაქები; და 4. სოფლები; გამოკითხვის შედეგები წარმომადგენლობითია თითოეული ამ სტრატის მოსახლეობისთვის. პატარა ქალაქების და სოფლების სტრატებში გამოიყო გეოფრაფიული ქვე-სტრატები: ჩრდილო-დასავლეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი, და 7 დიდ ქალაქთან ერთად ჯამში 15 ქვესტრატა მივიღეთ (თბილისში არ მოხდა ქვესტრატების გამოყოფა). თითოეულ ქვესტრატაში და დედაქალაქში მოხდა საარჩევნო უბნების (კლასტერების) შემთხვევითი შერჩევა რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობის პროპორციულად. თითოეულ კლასტერში სამარშრუტო შერჩევის მეთოდით შეირჩა შინამეურნეობების დადგენილი რაოდენობა, ხოლო თითოეულ შერჩეულ შინამეურნეობაში კიშის ცხრილის მეშვეობით შეირჩა ერთი სრულწლოვანი რესპონდენტი.

ინტერვიუს ჩატარების მეთოდი

2014 წლის გამოკითხვა პირისპირ ინტერვიუების კომპიუტერული მეთოდით (CAPI) ჩატარდა, განსხვავებით 2011 წლისგან, როცა რესპონდენტთა გამოკითხვა დაბეჭდილი კითხვარების მეშვეობით (PAPI) მოხდა. კვლევის ამ ორ ეტაპს შორის CRRC-მ არაერთი სხვა გამოკითხვა ჩაატარა ორივე მეთოდის გამოყენებით და დარწმუნდა, რომ გამოკითხვის ამ ორი მეთოდით მიღებულ შედეგებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავები არ არის.

CAPI-ს მეთოდი უზრუნველყოფს მონაცემთა მეტ სანდოობას, რადგან ამცირებს ინტერვიუერთა შეცდომების რაოდენობას და იძლევა მათ მიერ ჩატარებული სამუშაოს გადამოწმების მეტ შესაძლებლობებს როგორც საველე სამუშაოების მიმდინარეობისას, ისე

მათი დასრულების შემდეგ. მონაცემთა ბაზაზე მუშაობისას მოხდა პირველადი მონაცემების შესწავლა და გაწმენდა, რომლის დროსაც ჩატარდა ლოგიკური კონტროლი და გამოტოვებული ინფორმაციის ანალიზი. იმ შემთხვევებში, როცა შესაძლებელი იყო არალოგიკური მონაცემების შესწორება ან გამოტოვებული ინფორმაციის ადგილას სწორი პასუხების ჩასმა, ეს მონაცემები გასწორდა, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში არასწორი პასუხები „ინტერვიუერის შეცდომის“ კოდით შეიცვალა.

საველე სამუშაოები

საველე სამუშაოები 2014 წლის 23 აპრილიდან 6 მაისამდე ჩატარდა და მათ 8 ზედამხედველი და 102 ინტერვიუერი ახორციელებდა. საველე სამუშაოების დაწყებამდე ინტერვიუერებს ჩაუტარდათ ორდღიანი ინტენსიური ტრენინგი, რომლის თემებიც იყო პლანშეტური კომპიუტერის გამოყენება, რესპონდენტთა შერჩევა, კითხვარის შინაარსი და სტრუქტურა. ტრენინგები CRRC-ის თანამშრომლებმა თბილისში (დედაქალაქში და აღმოსავლეთ საქართველოში მომუშავე ინტერვიუერებისთვის), ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში ჩაატარეს.

საველე სამუშაოები მნიშვნელოვანი პრობლემებისა და შეფერხებების გარეშე ჩატარდა. ინტერვიუერებმა აღნიშნეს, რომ რესპონდენტები კითხვებზე ნეიტრალურად, ხანდახან კი - დადებითად რეაგირებდნენ.

მონაცემთა ანალიზი

ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემების უდიდესი ნაწილი რესპონდენტთა პასუხების პროცენტული განაწილებაა და ითვალისწინებს პიროვნების ან შინამეურნეობის შერჩევის ალბათობას. 2014 წლის გამოკითხვის მონაცემებში თითოეული კითხვის სტანდარტული ცდომილება 0.02%-დან 2.45%-მდე მერყეობდა და საშუალო სტანდარტული ცდომილება 1.22%-ს შეადგენდა. 2011 წლის გამოკითხვის მონაცემებში თითოეული კითხვის სტანდარტული ცდომილება 0.01%-დან 2.74%-მდე მერყეობდა და საშუალო სტანდარტული ცდომილება 1.31%-ს შეადგენდა. იმის დასადგენად, იყო თუ არა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი 2011 და 2014 წლების შედეგებს შორის არსებული განსხვავებები, თითოეული ასეთი კითხვის შემთხვევაში გამოყენებული იყო ერთმხრივი ან ორმხრივი t-test, რომელშიც p-მნიშვნელობა 0.05-ით იქნა განსაზღვრული.

2014 წლის გამოკითხვის ზოგიერთი კითხვის შემთხვევაში რესპონდენტთა შესახებ ინფორმაციის ანალიზისათვის გამოყენებული იქნა რეგრესიული ანალიზი STATA-სსაშუალებით.. რეგრესიული ანალიზისთვის მონაცემები შეწონილი იქნა რესპონდენტის (ან, იშვიათ შემთხვევაში, შინამეურნეობის) შერჩევის ალბათობის გათვალიწსინებით. იმ კითხვებისთვის, რომლებსაც პასუხის ბევრი ვარიანტი ჰქონდა, გამოყენებული იქნა სტანდარტული OLS რეგრესია. ბინარული კითხვებისთვის და იმ კითხვებისთვის, რომლებსაც სულ რამდენიმე პასუხის ვარიანტები ჰქონდა, გამოყენებული იქნა, შესაბამისად, Logit და O-Logit რეგრესიები. ყველა რეგრესიული ანალიზის შემთხვევაში დავაკონტროლეთ შემდეგი ცვლადები: ასაკი, სქესი, განათლების დონე, შინამეურნეობის ზომა (სრულწლოვანი წევრების რაოდენობა), შინამეურნეობის შემოსავალი, დასაქმება და დასახლებული პუნქტის ტიპი (დედაქალაქი, დიდი ქალაქები, სხვა ქალაქები და სოფლები).

CRRC-საქართველოს შესახებ

CRRC-საქართველო არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც აგროვებს, აანალიზებს და აქვეყნებს მონაცემებს საქართველოში არსებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ტენდენციების შესახებ. CRRC-საქართველო, CRRC-სომხეთსა და CRRC-აზერბაიჯანთან ერთად, წარმოადგენს კვლევითი ცენტრების ქსელს, რომლის საერთო მიზანია სამხრეთ კავკასიაში სოციალური კვლევებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის განვითარება.

CRRC-ის საჯარო მონაცემთა ბაზები ყველას აძლევს შესაძლებლობას, გაიგოს და შეაფასოს როგორც საქართველოში, ისე მთელს სამხრეთ კავკასიაში არსებული პოლიტიკური ტენდენციები. ეს მონაცემთა ბაზები ონლაინ ანალიზის პროგრამის მეშვეობით სწრაფად და იოლად ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.caucasusbarometer.org.